ივერია

ფასი ნომრისა 10 კაპეიკი.

№ 10

კვირა, 7 მაისი

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი წლის დამლევამდის 3 მან.; ხუთი თვით 2 მან. | 1877—1906 | ადრესი: ტფილისი, ფრეილინის ქ., № 5. ტელეფ. № 922.

სარჩევი:—**ორი ტაქტიკა**, ფ. გოგიჩაიშვილისა.—**ხათაობირო და ხალხი**, კ. ს—ისა.—**ხალხის შეგნება და რევოლუცია**, ურაველისა.—**ინგლისი 1819 წ.**, ლექსი შელლისა, თარგმანი დ. თომაშვილისა.—**ცეცხლითა და მახვილითა**, სვ. ყ—ისა.—**ზნეობრივ მოძღვრების ისტორია საქართველოში**, ივ. ჯავახიშვილისა.—**მუნიციპალიზაცია**, პ—ლისა.—**ქალთა საარჩევნო უფლება ავსტრალიაში**, მ—'ა.—**ჩარტისტთა მოძრაობა** (დასასრული), ა—სა.

ორი ტაქტიკა

ჩვენ არა ერთხელ გვქონია შემთხვევა აღგვენიშნა ის ფრიად განვითარებული ეროვნული შეგნება და ცნობიერება, რომელიც ეჭნევა ჩვენს მეზობელ ხალხს—სომხობას—და შესაფერ ნიშანსა და მიმართულებას აძლევს მის ინტელიგენტ წარმომადგენელთა ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმიანობას. ხშირად შევხებივართ ამ საგანს, რადგან ჩვენი მეზობლების ამ კულტურულ უპირეტესობის აღნიშვნა და მასზე ქართველ მკითხველის ყურადღების მიქცევა ჩვენთვის ბევრის მხრით საგულისხმიეროდ და სასარგებლოდ მიგვაჩნია. ამავე საგანს ვეხებოდით „ივერიის“ უკანასკნელ ნომერში მოთავსებულ წერილშიაც, რომლის შინაარსს იურიდიულ საზოგადოებაში ავტონომიის გამო გამართული კამათი შეადგენდა. ხსენებულმა წერილმა ერთ პატივცემულ პირის წერილობითი საყვედური დაგვიმსახურა, და რადგან ჩვენ არ გვინდა და ალბად ავტორსაც არ სურს, რომ მისი წერილი კერძო წერილად დარჩეს და არ იქმნეს გამოქვეყნებული, ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ, დღევანდელი საუბარიც წინანდელ ტემაზე დავიწყოთ,—ჩვენი მეზობლების შეგნებული, შეთანხმებული და, ამის გამო, ნაყოფიერი იდეური მიმართულება ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ და მას ჩვენი „ქართული“ შეუგნებელი, დაქსაქსული და, ამის მიზეზით, უნაყოფო—საქმიანობა დავუპირდაპიროთ.

ჩვენი უკანასკნელ წერილის გამო საყვედურს გვიცხადებს თავ. გ. მ. თუმანიშვილი, რომელმაც აღძრა იურიდიულ საზოგადოებაში საკითხი კავკასიის ავტონომიის შესახებ მან მოგვწერა შემდეგი ბარათი, რომელსაც აქვე სრულად და უცვლელად ვბეჭდავთ:

„ივერიის უკანასკნელ ნომერში, სტატიაში „საგულისხმიერო კამათი“ გამოთქმულია ის აზრი, რომ კონსტიტუციონალ-დემოკრატია! პარტია ტფილისში ვითომ წინააღმდეგი იყოს საქართველოს ავტონომიისა, და ამის მაგალითად ავტორს მოჰყავს ჩემი რეფერატი, წაკითხული კავკ. იურიდიულ საზოგადოებაში. „ლექტორმა, ბრძანებს ხსენებულ სტატიის ავტორი, დაახლოვებით ის აზრი გამოთქვა, რომ უნდა დაწესდეს საერთოდ კავკასიის ერთი პოლიტიკური ავტონომია, ხოლო კავკასიაში მცხოვრებ ეროვნებათ ექსტერიტორიული კულტურული ავტონომია უნდა მიენიჭოთო.“ ამის შეტი ჩემის რეფერატის მინაარსზე არაფერია თქმული სტატიაში.

„ჩემის აზრის ასეთი ახსნა ყოვლად უსაფუძვლოა. არამც თუ არაფერი წინააღმდეგ საქართველოს ავტონომიისა არა მითქვამს რა არც იურიდიულ საზოგადოებაში და არც სხვაგან სადმე, არამედ ყოველთვის ვიყავ და ვარ მომხრე საქართველოს ავტონომიისა. ამის დასამტკიცებლად მოვიყვან აქ რამდენიმე სტრიქონს ჩემის რეფერატიდამ, რომელიც იყო დაბეჭდილი რუსულ გაზეთში „კავკაზსკაია მისლში“, მის წაკითხვის შემდეგ, ე. ი. 15 აპრილს: „სრულიად კავკასიის საბჭოს კომპეტენციაში სწერია იქ—არ უნდა შედიოდეს აგრეთვე სპეციალური საჭიროებანი კავკასიის ცალკე ადგილებისა და ეროვნებათა, მაგალითად საკითხი შესახებ ამა თუ იმ ეკლესიის ავტოკეფალიისა, ენისა სახალხო სკოლებში, ენ'ა სასამართლოებში და სხვა. ყველა ეს საკითხები, ჩემის აზრით, უნდა გარჩეულ იქმნას სხვა, უფრო მცირე ადგილობრივ წარმომადგენლობითს დაწესებულებებში. კავკასიის თითოული ეროვნება ავტონომიურ უფლებებით უნდა სარგებლობდეს თავის რაიონში“. ცოტა ქვეითი: „ქართველებსა და მთიულებს, მაგალითად, შეიძლება ჰქონდეთ ტერიტორიული წარმომადგენლობა, რადგან მათ სავსებით განსაზღვრული ტერიტორია უჭირავთ“.

„მართალია, მე არც საერთო კავკასიის, არც ექსტერიტორიულ ავტონომიის წინააღმდეგი არ ვიყავ, მაგრამ ეს სრულებითაც ნებას არავის არ აძლევს, მე დამსახოს საქართველოს ავტონომიის მოწინააღმდეგედ. შესაძლოა, რომ ჩემს რეფერატს ბევრი ნაკლულევანება ჰქონდეს, მაგრამ სასურველი კია, რომ ჩემი აზრი კრიტიკოსის მხრით გადასხვაფერებული არ იყოს. ამას მოითხოვს ლიტერატურული მიუდგომელობა“.

ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ თავ. გ. თუმანიშვილის კატეგორიულ განცხადებას საქართველოს ავტონომიის შესახებ, მაგრამ არ შეგვიძლია მაინც დავეთანხმოთ, რომ ჩვენს უკანასკნელ წერილში ყალბად გადმოგვეცეს მისი რეფერატის დედა-აზრი. ეს რეფერატი ჩვენ ხელმეორედ გადავიკითხეთ და ვერსად ვერ ვიპოვეთ ვერც ერთი ისეთი ადგილი, სადაც ავტორი საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიას თხოულობდეს ან იხსენიებდეს. ნათქვამია მხოლოდ, რომ „ქართველებს შეიძლება ტერიტორიული წარმომადგენლობა ჰქონდეთო“, მაგრამ მარტო ერთი სიტყვა „წარმომადგენლობა“ გარკვეულ ცნებას არ შეიცავს. რეფერატის საერთო აზრი კი ასეთია: მთელის კავკასიისთვის ავტორს სურს პოლიტიკური ავტონომია საკანონმდებლო სეიმით, ხოლო ცალკე ეროვნება-

თათვის — კულტურული ავტონომია: მცირე ნაწილისთვის (ქართველ-მთიულთათვის) „ტერიტორიული“, ხოლო უმრავლესობისთვის (სომეხთა და მაჰმადიანთათვის) — ექსტერიტორიული. სწორედ იმ საკითხების ჩამოთვლიდან, რომელთაც, თავ. გ. თუმანიშვილის აზრით, არ უნდა ეხებოდეს საერთო კავკასიის სეიმის კომპეტენცია და ეროვნებათა ადგილობრივ „წარმომადგენლობათ“ უნდა უტოვებდეს, — სარწმუნოების საქმე, ენა სკოლებში, სასამართლოებში და სხვა ამგვარი, — ნათლად ჩანს, რომ ავტორს სახეში აქვს ცალკე ეროვნებათათვის მხოლოდ კულტურული ავტონომია და არა ავტონომია პოლიტიკური, ე. ი. კანონმდებლობის უფლების შემცველი. ხალხის შინაურ საზოგადოებრივ ცხოვრებას მარტო საეკკლესიო საქმე ან სკოლებსა და სასამართლოებში დედა ენის ხმარება ხომ არ შეადგენს. მარტო ის კი არ კმარა, რომ სკოლებსა და სასამართლოებში დედა-ენაზე ასწავლიდენ ან ასამართლებდენ, არამედ საჭიროა ვიცოდეთ, თუ ამ ენაზე რა უნდა ასწავლონ და რა კანონების საფუძვლით უნდა გაასამართლონ. მაგრამ ამაზე და მსგავს საკითხებზე, ე. ი. ცალკე ეროვნების „წარმომადგენლობის“ კანონმდებლობითს უფლებაზე თავ. გ. თუმანიშვილი არაფერს ამბობდა თავის რეფერატში და ჩვენ სრული უფლება გვქონდა იმისი აზრი ისე გაგვეგო, როგორც უკანასკნელ წერილში გამოთქვით. სხვაგვარად გაგება რეფერატის შინაარსისა შეუძლებელია. რეფერატში, რომელიც კავკასიის პოლიტიკურად მოწყობის საქმეს. შეეხება, გაკვრითაც კი არ არის ნახსენები საქართველოს ავტონომია და ავტორის ყოველი საბუთი და მოსაზრება უმთავრესად კავკასიის საერთო საბჭოს ანუ სეიმს და „ექსტერიტორიულ“ ეროვნებათ შეეხება.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ჩვენს წერილში თავ. გ. თუმანიშვილი საქართველოს ავტონომიის მოწინააღმდეგედ არ დაგვისახავს, და უსაფუძვლოდ გვაბრალებს ავტორი, ვითომ ეს ჩვენ გვეთქვას. ჩვენი წერილის მთავარი აზრი შემდეგ სტრიქონებშია გამოთქმული: „სომხებში საკუთარ ეროვნულ საქმის შესახებ სრული ერთსულოვნობა და თანხმობა არსებობს. სომეხთა მოსახლობის განაწილება კავკასიაში შეუძლებელად ხდის მათთვის ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას და ამიტომ ყველა ჯგუფები და კლასები ისეთ პოლიტიკურ წყობილებას ეტრფიან, რომელიც საუკეთესოდ დააკმაყოფილებს მათ ეროვნულ მისწრაფებას.“ ამას ვამბობდით მაშინ და ამისი გამეორება შეგვიძლია ახლაც რადგან ეს სრული ჭეშმარიტებაა. ამ აზრის სიმართლეს ნათლად ამტკიცებს თვით თ. გ. თუმანიშვილის რეფერატიც, რომელიც რთულ გეგმას წარმოადგენს მოსახლობით გაფანტულ სომხობის ეროვნულ გასაერთიანებლად. სომხებში არ მოიპოვება არც ერთი ინტელიგენტი, რომელიც კავკასიის საერთო ავტომიას და სომეხ ხალხს ექტერიტორიულად გაერთიანების გეგმას არ ემხრობოდეს. არ მოიპოვება იმიტომ, რომ მათში ეროვნული ცნობიერება განვითარებულია, ხოლო მათი ეროვნულ ცხოვრებისთვის საუკეთესო პირობების შექმნა მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი. ბ-ნმა ქალანთარმა იურიდიულ საზოგადოების ერთ კრებაზე დაუფარავად გამოაცხადა თავისი „იდეალი“, რომელიც თურმე იმაში მდგომარეობს, რომ კავკასია პატარ-პატარა კულტურულ-ავტონომიურ კანტონებად იქმნეს დაყოფილი. ამავე აზრს, მხოლოდ უფრო დემოკრატიულ შინაარსით, გამოსთქვამს სომხური გაზ „ალიქიც“ (№ 4). „ჩვენის აზრით, — სწერს იგი, — კავკასია უნდა შესდგებოდეს რამდენიმე ათეულის ავტონომიურ კანტონისაგან ანუ ოლქისაგან; თითოეულ კანტონს უნდა ჰქონდეს თავისი ადგილობრივი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები ხოლო მთელ კავკასიას თავისი ფედერატიული პარლამენტი და საკანონმდებლო უფლება“. სომეხ ინტელიგენციის წარმომადგენელნი თავიანთ ეროვნულ საკითხის ასე თუ ისე მოგვარების საქმეში განირჩევიან ფორმალურ წვრილმანებით და არა არსებით იდეურ სხვადასხვაობით. და აი ეს თანხმობა ჭ ერთსულოვნობა ამტკიცებს მათს მაღალ ეროვნულ ცნობიერებას და კულტურულ უპირატესობას. სხვა და სხვა ჯგუფთა ეკონომიურ ინტერესების წინააღმდეგობა ჭ კლასობრივ ბრძოლის თეორია ხელს არ უშლის სომხებს სოლიდარული თანხმობა გამოიჩინონ ისეთ საკითხში, რომელიც საერთო ეროვნულ სარგებლობის საქმეს შეეხება და მთელს ერს დაუბრკოლებელ განვითარებასა და წარმატებას ჰპირდება.

სულ სხვაა ჩვენში. ჩვენში არის არა თუ ერთი და ორი კაცი, არამედ მთელი პოლიტიკური პარტია, რომელსაც თავის თეორიულ „მრწამს“-თან შეუთანხმებლად მიაჩნია საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა. ყველამ იცით, რომ ეს პარტია არის ჩვენებური სოციალდემოკრატია. ამ პარტიის იდეოლოგებმა ყურები გამოგვიპედეს საქართველოს ავტონომიის „ბურჟუაზიულ ხასიათზე“ ყვირილით და მუდამ ბრძნულად გვასწავლიდენ, რომ სოციალდემოკრატია, რომელიც კლასობრივ ბრძოლის თეორიას აღიარებს, ვერ მიემხრობა საერთო ეროვნულ მოთხოვნილებას, თუ თავის პრინციპებს არ უღალატეო. ქართულ პრესსაში არა ერთხელ დაუმტკიცებიათ მათთვის „დოკუმენტებით“, რომ პრინციპების ასეთი „ღალატი“ ბევრ სხვა ხალხის სოციალდემოკრატიას უკვე მოუმოქმედნია, რომ სხვაგან სოციალდემოკრატებს შესაძლებელად უცვნიათ ეროვნულ ავტონომიის მოთხოვნა. ჩვენი სოციალდემოკრატები მაინც არ ტყდებოდენ და ერთხელ გაზეპირებულ ფრაზებს ერთგულად გვიმეორებდენ. მიუხედავად ამისა, უცხო სოციალდემოკრატიული პარტიები „ღალატზე“ ხელს არ იღებდენ და ჩვენებურ „ამხანაგებს“ აზია ისა და ევროპის საზღვარზე მარქსიზმის „სიწმინდის“ უბრო დარაჯებად სტოვებდენ. ამჟამად „მოღალატე“ გამხდარა და „გაბურჟუებული“ კიდევ ერთი სოციალდემოკრატიული პარტია, — რასაკვირველია, არა საქართველოში, არამედ შორს, — უკრაინაში. ამასწინად უკრაინის სოც.-დემოკ. პარტიამ თავის მეორე კრებაზე შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „მივიღეთ რა მხედველობაში, რომ ეკონომიურ ცენტრალიზაციის პროცესი მხოლოდ ერთი მხარეა ეკონომიურ ევოლუციისა და მის მეორე მხარეს შეადგენს ეკონომიური დეცენტრალიზაცია, რომელიც თავის მხრივ იწვევს პოლიტიკურ დეცენტრალიზაციას; რომ პოლიტიკური ფორმები უნდა შეეთანხმოს თითოეულ ერის ინდივიდუალურ, ეკონომიურ, ისტორიულ პსიხოლოგიურ და კულტურულ პირობებს: რომ სახელმწიფო წესწყობილების დემოკრატიზაცია მოითხოვს კანონმდებლობის, ადმინისტრაციის და სასამართლოს დეცენტრალიზაციას; რომ ეროვნულ შევიწროების მოსასპობად, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია კაპიტალისტურ საზოგადოებაში, საჭიროა ტერიტორიულ-ეროვნულ ერთეულის წარმომადგენლობითი კრების ხელში გადაცემა ყველა იმ საქმეებისა, რომლებშიაც ეროვნული შევიწროება გამოიხატება, — მეორე კრება უკრაინის სოც.-დემოკრატიის მუშათა პარტიისა, უკრაინში კლასობრივ ბრძოლისა და საწარმოვო ძალთა განვითარების გასაადვილებლად, იღებს თავის პროგრამაში უკრაინის

ავტონომიის მოთხოვნას. უკრაინაში უნდა დაწესდეს ცალკე სეიმი, რომელსაც უნდა ჰქონდეს კანონმდებლობის უფლება ყველა იმ საქმეებში, რომელნიც უკრაინის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს შეეხებიან.“

როგორც ხედავთ, კლასობრივ ბრძოლის თეორია უკრაინის სოციალდემოკრატიას ხელს არ უშლის ტერიტორიულ-ეროვნულ ავტონომიის მოთხოვნაში,—პირიქით, ეს ავტონომია მას კლასობრივ ბრძოლის ნაყოფიერ განვითარების საშუალებად მიაჩნია. ჩვენში კი იგივე „თეორია“,—ქართულად გადმოთარგმნილი,—საქართველოს ავტონომიის სასტიკი მტერი და მოწინააღმდეგეა.

და განა მარტო ავტონომიის შესახებ სჭირთ ეს ზნე ქართველ სოციალდემოკრატებს? არა, ეს ერთი მაგალითია სხვა მრავალში. აიღეთ, მაგალითად, დროებით პარტიულ შეკავშირების საკითხი. ევროპის არც ერთ სახელმწიფოში არ მოიპოვება ისეთი სოციალდემოკრატიული პარტია, რომელიც პრინციპიალურად უარჰყოფდეს ამგვარ შეკავშირებას და რაიმე კონკრეტულ მიზნის მისაღწევად საჭიროების დროს კავშირს არ ადგენდეს სხვა პარტიასთან. ჩვენში კი ესეც მარქსიზმის „სიწმინდის“ გამრყვნელ მოქმედებად ითვლება. აგერ ცხვირ წინ არჩევნებია. ტფილისში საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობას იღებს 5 პარტია: კადეტები, რადიკალები, ქართ. ფედერალისტები, დემოკრატები და სოციალდემოკრატები. ყველა ამ პარტიებში თავიანთ პროგრამის რადიკალიზმით სოციალდემოკრატებთან უფრო ახლოს დგანან ქართ. ფედერალისტები და დემოკრატები. ტფილისის კადეტთა პარტიის პროგრამა და შედგენილობა ხომ ყველამ იცის, ხოლო „რადიკალური„ პარტია სადეპუტატო კანდიდატად გამოსულა. არღუთინსკის კუდად ძ ხმების მომგროვებლად არის შექმნილი. თითქოს სოციალდემოკრატები, თავის პარტიულ ინტერესის გულისთვის უნდა შეკავშირებოდენ ამ არჩევნების დროს ორ ხსენებულ ქართულ პარტიას და ბრძოლაში მომხრეებზე უარი არ უნდა ეთქვათ. სამივე შეკავშირებულ პარტიას თავის მხარეზე ეყოლებოდა მთლად ქალაქში მცხოვრები ქართველობა და გარდა ამისა ის არა ქართველებიც, რომელნიც სოციალდემოკრატიის წევრებად ითვლებიან. შეიძლება ვიფიქროთ, რომ არჩევნების დროს მათვე ხმას მისცემდენ რუს წვრილ მოხელეთა თვალსაჩინო ნაწილი და ზოგიერთ სხვა ეროვნებათა წარმომადგენელნიც. ამგვარ შეკავშირების წყალობით მოსალოდნელი იყო, რომ სოციალდემოკრატიის სასათათბირო კანდიდატს გაემარჯვა ტფილისის არჩევნებში. მერე რა ჰქმნეს ჩვენმა სოციალდემოკრატებმა, შეიგნეს ამ შემთხვევაში საკუთარი ინტერესები? აი, განსაჯეთ: ქართ.-ფედერალისტურსა და დემოკრატიულ პარტიასთან საარჩევნო კავშირის შედგენაზე იმათ ცივი უარი განაცხადეს და განცალკევებულად მოქმედება ირჩიეს და იმ ორმა პარტიამ შემდეგ რადიკალებთან შეადგინა ბლოკი. თუ რა შედეგი მოჰყვება მემარცხენეთა ასეთ დაქსაქსულ მოქმედებას, ამის გამოცნობა წინდაწინვე შეიძლება...

აი, ასეთი გახლავთ ქართული „ტაქტიკა“, ჩვენი პრაქტიკული საქმიანობა. ალბად ჯერ კიდევ კარგა ხანი გაივლის, ვიდრე ჩვენში ისეთი ხალხოსნური შეგნება და პრაქტიკული ნიჭი განვითარდებოდეს, როგორიც, მათდა სასახელოდ და სასარგებლოდ, ჩვენს მახლობელ მეზობლებს აქვთ...

ფ. გოგიჩაიშვილი

სათათბირო და ხალხი.

არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ მთავრობას თავის ნება-ყოფლობით არ მოუწვევია ხალხის წარმომადგენელთა კრებული, რომელმაც სათათბიროს სახელით უკვე მოიყარა თავი პეტერბურგში და 27 აპრილს საქმიანობა დაიწყო. ყველამ იცის აგრეთვე, რომ ამ სათათბიროში წარმომადგენელთა დიდი უმეტესობა მტრულის თვალით უყურებს მთავრობას...

მართლაც, ვერც არჩევნების შედეგმა და ხალხისაგან წარმომადგენლებად მთავრობის მოწინააღმდეგე პირთა არჩევამ, ვერც საზოგადოების გარკვეულმა და მტკიცე სურვილმა, რომ ერთხელ და სამუდამოდ აილაგმოს ადმინისტრაციის ძალმომრეობა, რომელმაც მოსპო და არარად აქცია მთავრობისაგან 17 ოქტომბერს გამოცხადებული თავისუფლება,—ვერაფერმა ვერ გასტეხა სახელმწიფოში გაბატონებული წრეები და „თვითმპყრობელობაზე“ ხელი ვერ ააღებინა. მთავრობამ სათათბიროს შეკრებას არ მოუცადა და „შინაურ ომით“ დაცალიერებულ ხაზინის შესავსებად სხვა და სხვა მძიმე პირობით აუარებელი ფული ისესხა, რომლის გადახდა ხალხს დააწვება კისერზე; მთავრობამ არ მოუცადა სათათბიროს და მის მოწვევის თითქმის წინა დღეს რუსეთის ძირითადი კანონები თვითონვე შესცვალა, რომ შემდეგ ხალხის წარმომადგენლებს აღარ შესძლებოდათ ამ კანონების შესახებ მსჯელობა; მან სათათბიროს უფლებებიც თან და თან შეკვეცა და დღეს კიდევ, როდესაც სათათბიროს კრებები უკვე დაიწყო, რუსეთის სხვა და სხვა კუთხეში განუკითხავად მოქმედებენ მთავრობის სახელით პატარ-პატარა თვითმპყრობელი ბიუროკრატები, ხალხში თავისუფალ აზრს სდევნიან, თავისუფალ სიტყვას ემტერებიან, ხალხის განთავისუფლებისთვის ყოველივე თავდადებულ პირს ციხეში გზავნიან...

მთავრობამ დასავლეთ ევროპიდან გადმოიღო ახალი სახელმწიფო დაწესებულება — სათათბირო, მაგრამ ამასთან ერთად ვერ გადმოიღო იქიდანვე ყველა ის ჩვეულება, რომელიც მოეთხოვება საკონსტიტუციო სახელმწიფოში მთავრობას. თვითმპყრობელური ძალმომრეობა, ადმინისტრაციის განუკითხავი თვითნებობა და ამავე დროს... ხალხის წარმომადგენელთა საკანონმდებლო კრებული! ადმინისტრაციისგან ყოველივე უფლებას მოკლებული ხალხი და ამავე ხალხის საკანონდებლო საქმისთვის მოწვევა!

ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ მთავრობა ასეთ პირობებში ხალხის წარმომადგენლებს თუ იწვევს, აზრად აქვს მისი მოქმედება ისეთ ფარგალში ჩააგდოს, რომ შემდეგშიაც ხელუხლებელი დარჩეს ადმინისტრაციის მაღალ და დაბალ წარმომადგენელთა თარეში.

მართლაც, მთავრობამ სათათბიროს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება მოუსპო. სათათბიროს მხოლოდ იმაზე შეუძლია იქონიოს მსჯელობა, რასაც მას განსახილველად გადასცემს მთავრობა, და რომ სათათბიროს წევრებმა ყურადღება არ მიაქციონ სახელმწიფოს ძირითად კანონებს ან ხალხის სხვა და სხვა საჭიროებას, მთავრობას უკვე დამზადებული აქვს სათათბიროში გადასაცემად სხვადასხვა უმნიშვნელო კანონპროექტები,—მთავრობის აზრით სათათბირომ მსჯელობა უნდა იქონიოს ახლავე ახალ საპასპორტო სისტემის შესახებ, გამიჯვნის, აპეკუნობის, სახელმწიფო სამსახურის შესახებ... ეს იმ დროს, როდესაც აბობოქრებული ცხოვრება დამშვიდებას ითხოვს და ხალხი სათათბიროსაგან მოელის იმ უფლებების

მ

განხორციელებას, რომელიც მთავრობას 17 ოქტომბრის მანიფესტით ხალხისთვის დაპირებული ჰქონდა.

მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონია, მაშინვე დაითხოვოს სათათბირო, თუ მისი წევრები მთავრობისაგან ნაჩვენებ წესს გადაუხვევენ ან თავის თავზე მიიღებენ საკანონდებლო ინიციატივას და ისეთ კანონ-პროექტების განხილვას ან შემუშავებას დაიწყებენ, რომელიც მათ მთავრობისაგან არ ექმნებათ წარდგენილი განსახილველად.

ამნაირად, სათათბიროს წევრებს წინ ორი გზა უდევთ: თუ მოერიდებიან მთავრობასთან შეტაკებას, უნდა იცადონ, სანამ მთავრობა რომელიმე ახალ კანონის შემუშავებას მოინდომებს და შესაფერ კანონპროექტს სათათბიროში წარადგენს, — მაგრამ მაშინ სათათბიროს არსებობა ყოველივე მნიშვნელობას მოკლებული იქმნება, ვინაიდან ხალხის წარმომადგენლებს მხოლოდ ისეთ მთავრობასთა შეუძლიათ საერთო შრომა, რომელიც მტრულის თვალით არ უყურებს ხალხის კეთილდღეობას და რომელიც თავის თავს ხალხის თვითმპყრობელ ბატონად არა სთვლის.

მეორე გზა უფრო ეკლიანი და სახიფათოა: სათათბიროს წარმომადგენლები ხალხის არჩეულნი არიან იმ პირობით, რომ ისინი ხალხს მოუპოვებენ თავისუფლებას. ხალხისაგან ამორჩეული პირები, ამიტომ, ვალდებული არიან ნებით თუ ძალით გამოჰგლიჯონ ხალხისათვის შესაფერი პოლიტიკური უფლებები იმათ, ვინც დღემდის ხალხს მხოლოდ აწიოკებდა და ყვლეფდა...

ჯერ სათათბიროს სხდომები დაწყებული არ იყო და ყველასათვის უკვე ცხადი შეიქმნა, რომ ხალხის წარმომადგენლები მთავრობის ბრმა მორჩილებას არ ისურვებენ და, სადაც საჭირო იქნება, მთავრობასთან აშკარა შეტაკებასაც არ მოერიდებიან. არჩეულებში 32 კაცი უკიდურეს მემარცხენე პარტიებს ეკუთვნის, 50 გლეხთა კავშირის წევრია, 48 სხვა და სხვა ეროვნების მემარცხენე წარმომადგენელი, 145 კონსტიტუციონალ დემოკრატი, — გარკვეული მემარჯვენე კი მხოლოდ 87 წევრია. სოციალისტების და გლეხთა კავშირის გამბედაობა ხალხისათვის სხვადასხვა უფლების მოპოვების საქმეში ყოველივე ეჭვს გარეშეა, კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ პარტიის ნამდვილი ხასიათი კი გამოირკვა ამ პარტიის მესამე კრებაზე, რომელიც ახლა ხან მოხდა და რომელზედაც დამსწრე წევრებმა მთავრობის მიმართ დიდი შეურიგებლობა გამოიჩინეს. წარმომადგენლებად არჩეულნი არიან ისეთი პირები, რომელნიც სათათბიროში მხოლოდ სათათბიროდ არ მიდიოდნენ, რომელნიც, პირიქით, წინეთ ყოველთვის მოითხოვდნენ დამფუძნებელ კრების მოწვევას და იმათ დასჯას, ვინც ახლა რეაქციის ან „წესიერების“ სახელით დათარეშობენ რუსეთში.

ამნაირად, სათათბიროს წევრთა დიდი უმეტესობა ოპოზიციონერია. ამ ოპოზიციონერობას ისინი გამოიჩენენ პირველად იმით, რომ თავის თავზე ფაქტიურად აიღებენ საკანონდებლო ინიციატივას, ე. ი. ისეთ საქმეების შესახებ დაიწყებენ მსჯელობას, რომელიც მათ მთავრობისაგან განსახილველად არ ჰქონდათ გადაცემული. — და ამ ინიციატივას ისინი გამოიყენებენ იმისთვის, რომ ხალხს მოუპოვონ საჭირო პოლიტიკური უფლებები, რომლის აუცილებლობა ყველა მემარცხენე პარტიის პროგრამაშია აღნიშნული. მართლაც, სათათბიროს პირველსავე სხდომაზე წარმომადგენლებმა აღძრეს საკითხი საყოველთაო ამნისტიის შესახებ. ჯერ კიდევ გაუბედავად ლაპარაკობენ სათათბიროს წევრები, ზოგი პირდაპირაც აცხადებს, ამნისტიის საკითხს ისეთ სახით ნუ დავუყენებთ მთავრობას, რომ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობამ უარი შემოგვითვალა, ჩვენ იძულებული შევიქნეთ აშკარად შევებრძოლოთ მთავრობასო. — ხალხმა კიდევ სხვა, უფრო ძირითად უფლებების მოპოვება დაგვავალაო. მთავრობასთან შეტაკებას ახლა მოვერიდოთ, სხვა დროს, როდესაც ჯერი იმ ძირითად უფლებებზე მიდგება, უფრო დაგვჭირდება მხნეობა და გამბედაობაო. ამასთან ერთად მთავრობასთან ბრძოლის დასაწყებად საჭიროა ვიცოდეთ, რომ ხალხი, სათათბიროს გარეშე მყოფი, მხარს დაგვიჭერს ბრძოლაში და ამით გამარჯვებას გაგვიადვილებსო.

ამიტომ ყოველი პოლიტიკური პარტია და ყოველი შეგნებული ადამიანი ვალდებულია ზნეობრივი დახმარება მაინც გაუწიოს სათათბიროს: ყველას უნდა ახსოვდეს ის საგულისხმო სიტყვები, რომელიც 1871 წელს საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ წარმოსთქვა:

„მოქალაქენო! ახლა თქვენს უმთავრეს, ძირითად უფლებაზეა საქმე და თქვენც თავი უნდა გამოიღოთ მის მოსაპოვებლად. თქვენი წარმომადგენლები თქვენი მხნეობის იმედით არიან და თქვენგან გაბედულ დახმარებას ელიან. ყველანი საერთოდ გევედრებით, — შეერთდეთ ეროვნულ კრების გარშემო, რომელიც თქვენს საქმეს იცავს, რომელიც თვითონ თქვენი სახეა, თქვენი სურვილების გამომხატველი, თქვენი ხსნა და თქვენი იმედი.“

სათათბიროს ახლანდელი წევრები გრძნობენ თავიანთ მოვალეობას და ზნეობრივ პასუხის მგებლობას ხალხის წინაშე და სწორედ ამიტომ წინდახედულად იქცევიან, რომ ადვილად და უსარგებლოდ არ დაჰკარგონ თავისი ძალა და იგი უმთავრეს პოლიტიკურ უფლებათა მოსაპოვებლად მოსალოდნელ ბრძოლისთვის შეინარჩუნონ.

და რაკი სათათბიროს უმთავრესი ძალა სათათბიროს კედელთა გარეშე არის, — ხალხში, ხალხის თანაგრძნობაში, — ამიტომ ხალხმაც ეს თავისი თანაგრძნობა არ უნდა მოაკლოს სათათბიროს წევრებს და მზად უნდა იყოს, რომ ყოველ წუთში მხარი დაუჭიროს თავის წარმომადგენლებს ძველ წყობილების მომხრეთა დასამარცხებლად.

გ. ს.

ხალხის შეგნება და რევოლუცია

როდესაც არსებული საზოგადოებრივი წყობილება არ ეთანხმება ხალხის მოთხოვნილებას და გაბატონებული წრეები ეწინააღმდეგებიან სახელმწიფოში საჭირო რეფორმების განხორციელებას, მაშინ ხალხში აუცილებლად თავს იჩენს უკმაყოფილება, რომელიც თანდათან იზრდება და ბოლოს აშკარა ბრძოლის ხასიათს იღებს. — იწყება განმათავისუფლებელი ბრძოლა, რევოლუცია, რომელშიაც პირდაპირ მონაწილეობას იღებს ყველა, ვისაც აწმყო არ აკმაყოფილებს და ვისაც მოსალოდნელი ახალი წყობილება, სრულ ბედნიერებას თუ არა, მდგომარეობის გაუმჯობესებას მაინც უქადის.

ასეთი იყო მდგომარეობა რუსეთში, სადაც თვითმპყრობელობის დამცველი და უმაღლესი წარმომადგენელი წრეები მათგანვე დამონებულს და დაქვეითებულ ხალხს ყვლეფდნენ და ბუნებრივ განვითარების ყოველივე საშუალებას უსპობდნენ. თავის არა პირდაპირ გადასახადთა სისტემით მთავრობამ ძირს დასცა გლეხობა და შესაძლოდ გახადა სოფლებში ყოველწლიურ შიმშილობის გაჩენა. პოლიციის და ადმინისტრა-

ტიულ თვითნებობის გაძლიერებით იგი უშლიდა მუშა ხალხს ეკონომიურ ბრძოლას და ციხეში აგზავნიდა ყველას, ვინც ცდილობდა ხალხში შეგნების შეტანას. მან მოსპო, არარად გახადა ხალხის თვითმართველობა ქალაქებში და სოფლად, მან ეროვნული და სარწმუნოებრივი დევნა დაიწყო და ხალხის სხვა და სხვა ნაწილი ერთმანეთს გადაამტერა. მანვე თავის ახლობელთა გასამდიდრებლად გამოიყენა თავისი უსაზღვრო უფლება!... და ყველა ამ საქმეში მთავრობამ იმდენი აღვირახსნილი თვითნებობა და სრული უნიჭობა გამოიჩინა, რომ შეუძლებელი შეიქმნა სიჩუმე,—ხალხი ამოძრავდა, აღელდა, ხალხის ყველა კლასი, ყველა ნაწილი თანასწორად გრძნობდა ცვლილების აუცილებლობას, რადგან ყველა ხედავდა, რომ მთავრობის პოლიტიკას ხალხის ყველა ნაწილი უფსკრულისაკენ მიჰყავდა...

რაკი მთავრობა ყურადღებას არ აქცევდა ხალხის უკმაყოფილებას და მის გამოთქმის ნებასაც კი არ აძლევდა არავის, ამიტომ აუცილებელი შეიქმნა ყველა ის გაბედული მოქმედება, რომელიც განმათავისუფლებელ ბრძოლის სახელით რუსეთის სხვა და სხვა კუთხეში მოხდა. არსებული წყობილება ყველასთვის საზარალო იყო და ამიტომ ყველა იღებდა და ახლაც იღებს მხურვალე მონაწილეობას განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

მაგრამ ყველას ერთგვარ მონაწილეობის მიღება არ შეუძლია და ამას არც თვითონ საქმის ვითარება მოითხოვს. მართალია, საგიტაციო კრებებზე ჩვენ არა ერთხელ გაგვიგონია ზოგიერთების საყვედური, რომლითაც ისინი მოწინააღმდეგეთა დამცირებას ცდილობდენ, ისე არ იქცევით როგორც ჩვენ,—ბარიკადებზე არ გამოხვალთო, მაგრამ ასეთ საყვედურის თქმა მხოლოდ მთქმელის ბავშვურ უგნურების გამომხატველია,—ყოველმა შეგნებულმა ადამიანმა იცის, რომ რევოლუცია მარტო ბარიკადებზე გამოსვლით არსად არ დაწყებულა და არ გათავებულა. ბარიკადებზე გამოსვლა ბრძოლის მხოლოდ ერთი ნაწილი არის, რომლის აუცილებლობა ხალხის განთავისუფლების საქმეში მხოლოდ იმას სწამს, ვისაც ჰგონია, რომ ყოველ ერის პოლიტიკური განვითარება ერთხელვე არსებულ შაბლონებს მისდევს;—რაკი სხვაგან ბარიკადები ყოფილა,—ამიტომ ჩვენშიაც ასე უნდა მოხდესო. ამის მთქმელნი იმ რუს ღენერლებს მოგვაგონებენ, რომელნიც უკანასკნელ რუსეთ იაპონიის ომის დროს ამბობდენ,—ხელჩართული შეტაკება უნდა მოხდესო, ხელჩართული შეტაკება ყოველთვის ომის ბედს სწყვეტავდა და აქაც აუცილებლად მოხდებაო. მაგრამ ამ გონიერ ღენერლებს იმედი გაუცრუვდათ, სამარ ტეხნიკის განვითარებამ ომის ხასიათი შესცვალა და ხელჩართულ შეტაკების მქადაგებელნი ისე დაბრუნდენ ომის ველიდან, რომ თვალითაც არ უნახავთ მოწინააღმდეგე, რომელიც ყუმბარებით ანადგურებდა რუსის ჯარს. იცვლება სამარი ტეხნიკა და მასთან ერთად აუცილებლად იცვლება მებრძოლთა ტაქტიკაც. ასევე სახელმწიფო წესწყობილების შეცვლის საქმეში არ შეიძლება დღესაც იმავე შაბლონების იმედით ვიყოთ, რომელიც გამომდგარა ოდესმე, როდესაც ჯარების შეიარაღება სხვა იყო...

უსაფუძვლო და უადგილო იყო ზემოხსენებული დაცინვა,—დღეს-დღეობით რევოლუციის ბედი ბარიკადებზე არ წყდება. რთულ სარევოლუციო მოძრაობაში აქა იქ, რასაკვირველია, ბარიკადებსაც შეიძლება მიეცეს ადგილი, მაგრამ ეს დიდ ბრძოლის ცალკე ეპიზოდი იქნება,—სასარგებლო, უმნიშვნელო ან მავნებელი,—ეს გააჩნია იმას, თუ რამდენად საჭირო იყო ამა თუ იმ ადგილას სისხლის ღვრა და ჯარებთან აშკარა ბრძოლა.

ცხოვრება გართულდა და ერთი დაკვრით არც ერთ არასასურველ მოვლენის მოსპობა არ შეიძლება. რუსეთში დეკემბრამდის საზოგადოდ ბარიკადები არ გამართულა, მაგრამ განა უბარიკადებოდაც ცოტა იყო თავდადებული მუშაკი, რომელმაც ხალხის განთავისუფლებას თავი შესწირა? ცოტა იყო ისეთი ადამიანი, რომელსაც სიტყვით, წერით, საქმით შეგნება შეჰქონდა ხალხში იმ მიზნით, რომ გამოფხიზლებულ ხალხს შემდეგ მოეპოვებინა საჭირო უფლებები სახელმწიფოში?

ხალხის შეგნება უფრო ძლიერი იარაღია განმათავისუფლებელ ბრძოლაში, ვიდრე ბრაუნინგი და ნაგანი. ხალხის პოლიტიკური აღზრდა უფრო ძნელია, ვიდრე ბარიკადებზე წითელ დროშის აფრიალება. ხალხში საერთო ცხოვრებისათვის საჭირო ჩვეულებების დამყარება უფრო სასარგებლოა, ვიდრე მაღალფარდოვან სიტყვებით მიტინგებზე მსმენელთა დატკბობა...

მაგრამ ხალხში შეგნების შეტანა, ხალხის პოლიტიკური აღზრდა, ხსენებულ ჩვეულებების გავრცელება არც ისე ადვილი საქმეა, რომ ამ საქმის შესრულება ყველამ შეიძლოს მართლაც, პარტიულ პროგრამის შესახებ გაზეპირებულ სიტყვების წარმოთქვა საგიტაციო მიზნით, როდესაც ამ სიტყვის წარმოთქმელი გაჭირვებულ და ამ გაჭირვებით აღელვებულ ხალხს ეუბნება,—მიიღეთ ჩემი პროგრამა და გიხსნით ახლანდელ გაჭირვებიდანო,—ასეთნაირად დაყენებული პროპაგანდა ხალხში შეგნების შესატანად ვერაფერი საშუალებაა. „ჩემ ღმერთს ევედრე და მაშინ დაგიფარავო“,—ეუბნება ხალხს რუსის მთავრობა დ თავის მფარველობას უსპობს იმათ, ვინც სხვა სარწმუნოებას აღვია. ჩემი პროგრამა მიიღე და გიხსნიო—ამბობს ხალხში აგიტატორი. სახელმწიფოში ზოგიერთი, მთავრობის ასეთ მოქმედების გამო, სარწმუნოებას იცვლის, ურია ინათლება, სხვა ქრისტიან სარწმუნოების მიმდევარი მართლმადიდებლობას იღებს, მაგრამ ამით იგი მხოლოდ გარეგან სახეს იცვლის,—მის აზროვნებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, იგი არ დარწმუნებულა, რომ მართლმადიდებლობა სხვა სარწმუნოებას სჯობდეს. ასე პარტიულ აგიტაციის დროს იმ პირობებში, რა პირობებშიაც ახლა რუსეთის ხალხია, ზოგიერთი გარეგნად ემხრობა პარტიის პროგრამას ისე, რომ ხშირად მის ავკარგიანობის განხილვაში არ შედის,—ამ მოქრობით აპირებს იგი თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას და არსებულ უსამართლობის მოსპობას. და როდესაც ხალხის ესა თუ ის ჯგუფი ხალხის „ხელმძღვანელობას“ კისრულობს, პარტიის წარმომადგენელი იდეოლოგები ამ ჯგუფის „გამოფხიზლებაზე“ ლაპარაკს იწყებენ. „შეგნებულად“ სთვლიან მას და ქება-დიდებით იხსენიებენ. მაგრამ თუ ვინმემ გაბედა და პარტიის პროგრამის რომელიმე მუხლს ან პარტიის მეთაურთა რომელიმე მოქმედებას კრიტიკა თუ გაუწია, მაშინ ისევ ეს იდეოლოგები ამ კრიტიკულ მსჯელობას ღალატად სთვლიან, შეუგნებლობად სახავენ...

თქმა არ უნდა რომ ის პარტია, რომელიც ასე იქცევა,—ხალხში სექტანტობას უფრო ავრცელებს, ვიდრე შეგნებას...

მართლაც, შარშან ხალხის მტრად, მის მოღალატედ, ბურჟუად და უტოპისტად აცხადებდენ ჩვენებური სოციალდემოკრატები იმათ, ვინც მათს აგრარულ პროგრამაში ეჭვის თვალით უყურებდა ჩამონაჭრების პოლიტიკას დაცხადებდა,

რომ საერთო რევოლუციის დროს, იქ, სადაც რვა საათიან სამუშაო დღეზე ლაპარაკია აღძრული, არ შემძლება სოფლად საადგილმამულო რეფორმის განსაზღვრა ჩამონაკრებით. ეს წინააღმდეგობა მაშინ „შეგნებული“ იყო. ახლა კი, როდესაც თვით ცხოვრებამ დაანახვა სოციალდემოკრატებს, რომ გლეხობა „ამ პროგრამით“ მათ არ მიჰყვება და ცალკე პარტიის დაარსებას აპირებს, იქ, რუსეთში, პარტიის წარმომადგენლება გადასწყვიტეს თავიანთ პროგრამის შეცვლა და ამ პროგრამაში ზოგიერთი ისეთი მუხლი შეიტანეს, რომელიც შარშან პარტიის იდეოლოგებს ჩვენში ხალხის ღალატად ეჩვენებოდათ. ახლა, პარტიის ახალ გადაწყვეტილების ძალით, ჩვენებური იდეოლოგებიც ახალ ჰანგზე დაიწყებენ „შეგნებულ“ სიმღერას, სოფლად პროპაგანდისტები იმის ქება-დიდებას მოჰყვებიან, რასაც ამ ნახევარი წლის წინეთ თვითონვე „შეგნებულად“ ჰკიცხავდენ, და ხალხიც „შეგნებულად“ ისევე მათ ხელმძღვანელობას დაემორჩილება.

ყველასათვის ცხადია, რომ აქ ეს ცვლილება „შეგნების“ შედეგი არ არის ისევე, როგორც არ არის შეგნების შედეგი რომელიმე პოლიციელის ლიბერალობა, რომელსაც მისი მთავრობა ძალადობის და თვითნებობის მოსპობას უბრძანებს. პარტიულმა სრულიად რუსეთის კრებამ გადაწყვიტა! მისი გადაწყვეტილება სავალდებულოა აქაც, კავკასიაში. თუ მართალს ამბობდენ შარშან აგრარულ საკითხის შესახებ ჩვენებური პროპაგანდისტები, მაშ პარტიის ახალი გადაწყვეტილება და თვით პროპაგანდისტების ამ გადაწყვეტილების თანახმად ქადაგება ხალხის ღალატი და ხალხისთვის საზარალო უნდა იყოს, რადგანაც ჩვენში სოფლის მდგომარეობა ამ ნახევარი წლის განმავლობაში არაფრით არ გამოცვლილა, — და ნუ თუ ჩვენში ის, რაც შარშან მავნებელი იყო, დღეს ხალხისთვის სასარგებლო შეიქნება მხოლოდ იმიტომ, რომ ასე გადაწყდა სრულიად რუსეთის პარტიულ კრებაზე, და ნუ თუ ხალხის ასეთი თუ ისეთი მოქმედება დამოკიდებული უნდა იყოს პარტიის გადაწყვეტილებაზე და არა ადგილობრივ პირობების შესწავლასა და შეგნებაზე?

ხალხის ყოველი მოქმედება იქ, სადაც ხალხს თავისუფლება არა აქვს მოპოვებული, სხვის ბრძანების ასრულებაზეა დამყარებული. იქ კი, სადაც ხალხი თავისუფალია, მის მოქმედებას სარჩულად უდევს ან ნდობა და ან შეგნება. ვინც დაჰკვირვებია ჩვენი საზოგადოების მდგომარეობას, დაგვეწმუნება, რომ ბრძანებლობა და მუქარა თვით განმათავისუფლებელ მოძრაობის სათავეში მდგარ პარტიებისაგან არა იშვიათი მოვლენა იყო და რომ ამ მხრივ შეგნებულ მოქმედების სახელით საღდებოდა ხშირად ის, რაც ნამდვილად შიშით და მორიდებით იყო გამოწვეული.

მაგრამ ბრძანებლობასთან ერთად ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელი ხალხს „ნდობას“ სთხოვდა, არა იმ ნდობას რომელიც აუცილებელია ყოველივე საერო მოქმედებისთვის, არამედ „ბრმა ნდობას,“ უკრიტიკო ნდობას, მათ ავტორიტეტის წინაშე მუხლის მოდრეკას, რაიც ხშირად ზნეობრივ ძალადობის ხასიათს იღებდა. ბიუროკრატიულ რეჟიმში აღზრდილნი იყვნენ ხალხის განთავისუფლებისთვის მებრძოლნი და თავიდან ვერ აიცილებს ზოგიერთი თვისება, რომელიც ბიუროკრატიულ რეჟიმის დამახასიათებელია. მთავრობაც ამბობს, ჩემ ბრძანებას ნუ გადაუხვევთო, მთავრობაც აცხადებს, კრიტიკის თვალით ნუ შეხედავთ ჩემ ნამოქმედარს და დამენდეგითო. „შეგნებად,“ ხალხის გამოფხიზლებად მიაჩნია მთავრობას ხალხისგან მის ბრძანებათა ბრმა მორჩილება და ასევე შეგნების სახელით ნათლავს ზოგიერთი პარტია ხალხის მოქმედებას. იქ, სადაც ხალხი, ხშირად ძალა-უნებურად ან ძალდატანებით ეკედლება მას.

შეგნება მოითხოვს აწმყო მდგომარეობის და მოსალოდნელ ახლო მომავალის გათვალისწინებას. პარტიულ პროგრამის თაყვანის ცემა, სექტანტობა, „მოსალოდნელის“ მაგიერად „სასურველ“ მომავალზე მუდამ ლაპარაკი და თავის დაჯერება, რომ ეს „სასურველი“ უთუოდ ეღირსება განხორციელებას ახლავე, ხვალვე, — ეს შეგნება კი არა, ეს გატაცებაა!.. როდესაც ხალხში შეგნების შესატანად გამოსული პროპაგანდისტი აცხადებს, — ჩემი პარტიის პროგრამა მიიღეთ და ახლავე სრული ბედნიერება დამყარდება დედამიწაზეო, — იგი ხალხს აბრმავებს და უშლის შეგნებას. და განა ცოტა იყო ისეთი პროპაგანდისტი ჩვენ სოფლებში, რომელიც აცხადებდა, რომ ახლავე მოხდება სოციალური რევოლუციაო!

ვისაც მართლა სურს, ხალხი შეგნებულად ემხრობოდეს რევოლუციას, ის არ უნდა მალავდეს, რომ ამ რევოლუციის უახლოესი შედეგი იქნება არა სოციალიზმი, არამედ ბურჟუაზიული დემოკრატია, რომ სოციალიზმის განსახორციელებლად საჭიროა საწარმოვო ძალთა შესაფერი განვითარება, რომ საამისოდ არ კმარა მხოლოდ წარმომადგენელთა სურვილი. საჭიროა იცოდეს ხალხმა, რომ დეკრეტით, საკანონმდებელო კრებულის გადაწყვეტილებით არ შეიძლება სოციალიზმის განხორციელება, რომ ამიტომ რუსეთის საკანონმდებლო კრებულშიაც ხალხის წარმომადგენელს მხოლოდ იმდენად შეუძლიათ ხალხის, — გლეხობის და თვით მუშა ხალხის სასარგებლოდ აქტივ მონაწილეობის მიღება სათათბიროს მოქმედებაში, რამდენადაც ეს წარმომადგენელი დემოკრატია, რომ თვით სოციალდემოკრატი წარმომადგენლებიც იძულებული და ვალდებულიც იქნებიან პარლამენტში მხოლოდ დემოკრატობა ეიკისრონ, რომ ამიტომ არ შეიძლება თქმა, ვითომც „დემოკრატია ჩვენი უდიდესი მტერი იყოს,“ როგორც ამას სწერდა და ახლაც ამბობს მუშა ხალხის ზოგიერთი „იდეოლოგი.“

იდეოლოგების ასეთი შიში დემოკრატიის წინაშე ადვილი ასახსნელია. დემოკრატია ამ იდეოლოგების მართლაც რომ მტერია, რადგანაც დემოკრატია უპირველესად ყოვლისა ამბობს, რომ ყველგან და ყოველთვის უნდა ბატონობდეს ხალხის ნება და არა მეთაურების და იდეოლოგების სურვილი, დემოკრატია ამისთვის ცდილობს ხალხში საზოგადო შეგნება და არა პარტიული სექტანტობა შევიდეს, დემოკრატია ხალხს უჩვენეს, რა რეფორმები ან რა მოქმედებაა საჭირო დღეს, დღევანდელ პირობების შესაცვლელად და არ იტაცებს ხალხს გრძნობას შორეულ „საქაო სამოთხის“ აღწერით. დემოკრატია ხალხის გონებას მიმართავს და სულით და გულით ეწინააღმდეგება იმ ბინძურ დემაგოგობას, რომელიც ასე საჭიროა ზოგიერთ პარტიულ მოღვაწისათვის, რომ ხალხის გული დროებით მაინც მოიგოს და ამით თავისი ბატონობაც ხალხში უზრუნველ-ჰყოს.

ამიტომ ხალხის შეგნების, ხალხის გამოფხიზლების მტერია ის ადამიანი, რომელიც არავითარ საშუალებას არ ზოგავს იმისთვის, რომ ხალხს დემოკრატიაზე გული აუცრუვოს და დემოკრატები მტრად დაუსახოს. ხალხის შეგნების მოწინააღმდეგეა ის, ვინც გაიძახის: „მე ვარ უფალი და ღმერთი შენი, ჩემს მეტი სხვა ღმერთ ნუ იცი!“ ხალხის შეგნების მო-

წინააღმდეგეა ის ადამიანი, რომელიც თავის პარტიის გაძლიერებას ხალხის კეთილდღეობაზე უფრო მაღლა აყენებს.

ასეთი ადამიანი ბრმაც არის, რადგანაც ხალხი მაზე „გაბატონებულ“ პარტიასაც იმ თვალით შეხედავს, რა თვალითაც შეხედა გაბატონებულ ბიუროკრატიას და ბიუროკრატიასთან ბრძოლაში ნაცად საშუალებას გაბატონებულ პარტიის დასამარცხებლად გამოიყენებს. **ურაგელი.**

ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲘ 1819 ᲬᲔᲚᲡ

(შელლისა)

მტარვალი გაჩერჩეტდა,
მთლად დაუდგა თვალები!
ირგვლივ შემოიკრიბა
სულ შავ-ბნელი ძალები!..

ქვეყნის გამგედ დაგვისვა
ყველა მუქთა ხორები,
მსუნაგობით მგლები და
მისივ სულის სწორები!..

მტაცებელ ონავარი,
სისხლით მთვრალი წურბელა
მათთან შედარებითა
არარაა სუყველა!..

დევნილს, მშიერს და შიშველს
ვინ დაუგდებს, აბა, ყურს?
მას თხოვენ მორჩილებას
და მონებრივ სამსახურს..

რის კანონ-სამართალი?
აბა გაგიგონია?
სახრჩობელა მოქმედებს,
მეფეც თავმომწონეა!..

მის შინა-ყმა სენატი
გადაიქცა სულ ბოსლად
და ცხვრის ნიღაბს იფარებს
ბოროტების სამოსლად!..

უაზრო განაჩენებს
იგი როშაეს და როშაეს...
მაგრამ შურის ძიების
უკვე ვხედავთ ჩვენც დროშას!..

დ. თომაშვილი

ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲘᲗᲐ

(გაგრძელება)

. . . . . რაგორც ხაშურში, ისე ცხინვალში მრავალი ჯაშუში და პროვოკატორი გამოჩნდა, რომლებიც დაუძღვებოდენ ჯარს და ეუბნებოდენ: ეს პროფაგანდისტია, ეს რაზმელია და სხვა. ვიზეადაც კი მიეთითებდენ ეს ვაბატონები, ჯარის კაცები იჭერდენ, მათ სასჯელს სვეფავდენ და ციხეში ისტუმრებდენ.

ერთს ამ გვარ ჯაშუშს სოფ. ეესვში თოფი ესროლეს, მაგრამ ვერ მოარტყეს. ჯარი დიმის 2 სასთზე ადგილის უფრთხობით გეშეგზავრა ამ სოფლისკენ. შეშოერტყეენ კაბინ-ძის სახლს. კაბინ-ძესთან ერთად სახლში ეოფილიეო მაისურაძეც. რომელიც ჯარის მოახლოებებზე გადაკარდა ფანჯრიდან და კიაქცა. კაქტეულს თოფები დაუშინეს და მძიმედ დასჭრეს. შემდეგ შეიპარეს კაბინაძე და მოჰკლეს. 16 ტეკეის ეჩილობა ჭქონდა და ეს არ აკმარეს თურმე, შუბებითაც დახვრიტეს. მის სახლების ცეცხლი მისცეს. შემდეგ დაერეკენ სოფლს, დაუწეეს ცემა-ტეკეა. ჯერ ესროლეს სოფელს, შემდეგ გადასწვეს 9 დუქანი და ცხინვალისაკენ წამოიყენ. სხვა ეველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმდენი ქათმები ჩამოიეკანეს ამ სოფლიდან, რომ მეორე დღეს ცხინვალში ჯარის კაცებმა ნადიმი გამართეს და ქუდს ჭერში ისროდენ.

სოფ. ხვითში დაიჭირეს ორი რაზმელი: ჭაგჭავაძე და ესიასშვილი. ჭაგჭავაძე მოჰკლეს, ესიასშვილი დასჭრეს. შემდეგ კონდახებით სცემეს ისე, რომ მეორე დღესვე კარდაიცვალა.

სოფ. კორნისში დაეცენ მღვდელს ად. ქოწოშვილს, 245 მ. ეულად წაართვეს და რაც რამე აეეკეულობა ჭქონდა სულ წამოიღეს. შემდეგ საბძელი გადაწვეს. გადაუწვეს ავრეთვე სახლ-კარი რამდენიმე რაზმელს.

სოფ. კორნისში და წუნარში დაქტეს რამდენიმე სახლი რაზმელებისა, სოფლები დაძარცვეს და ხალხსაც ბევრი სცემეს.

სოფ. ქემერთში სამი დღე იეო ჯარი, სახლებს სჩხრეკდენ, ეძებდენ ეითომ რაზმელებს. რა დღე დადგებოდა სოფელს, ადვილი წარმოსადგენია, მაგრამ ეს არ აკმარეს ამ სოფელს, გაუპატიურეს სამი ქალი. ერთ ამ გაუპატიურებულ ქალზე კაზაკების ოფიცერი დაპარაკობდა ცხინვალში: „წინა დღით ვნახე ეს ქალი,—გასათხოვარი, ჯან-სადი, ჩასუქებული იეო, წითელი დოეები ზედ ასკდებოდა; მეორე დღეს ვნახე,—გამხდარი, გაეთორებული, ერთ დამეს ისე გაფუჭებულიეო, რომ ცნობა კამიჭირდა,—მერზავცი, მერზავცი ნაში კაზაკეო.“

სოფელ დირბში სამი კაზაკი შეეიდა კლეხის დედაიაშვილის ოჯახში. სახლში დახვდათ დედაიაშვილის რძალი, მელოკინე. კაზაკები ეტნენ საბრალოს და დაუწეეს ბღლაძუნი, მაგრამ ამ დროს შემოვარდა დედამთილი და, ეს საზიზღარი სცენა რომ დაინახა, გაეფთრებული ეცა კეტს და დაერია კაზაკებს. სამეგეს თავი გაუწეხა და კარში გამორეკა. კაზაკებმა ვედარაეერი მოახერხეს თურმე, შემდეგ დაუწეეს ხვეწნა: ეს ხომ გვცემე, ბვცემე, უფროსთან მაინც ნუდარ დაგვაბეზღებო. ეს იყო მის შემდეგ, რაც გორის მაზრის გენერალ-გუბერნატორმა ბაუერმა ორ თებერვალს შემდეგი ბრძანება გამოსცა: „ჩემ ეურამდინ მოვიდა, რომ კაზაკები და ჯარის კაცები მცხოვრებლებზე ძალ-მომრეობენ. ვაცხადებ, რომ დამნაშავეთ სასტიკად, შეუბრალებლად დავსჯი, სამხედრო სამართალში მიეცემა“. მაგრამ რა კამოვიდა, დედაიაშვილის რძალი გადარჩა, მაგრამ იმავე დღეს, იმავე სოფელში წყარაზე მოასწრეს ერთს კასათხოვარს ქალს, რომელსაც ჩაეთო წეალი მიჭქონდა სახლში, და უსვინდისოდ ნამუსი ახადეს.

შაგ ცხინვალში ლამე ერთ ურიის სახლიდან გამოათრიეს უმაწეილი ქალი და გაუპატიურეს ამ სცენას წაეწეედ ქუჩაში მომ.. ვალი ბოლიციის ბოქაული მ-დი, მაგრამ კაზაკები არ შეეეეენ და თავისი საზიზღარი საქმე ბოლომდე დასამთავრეს.

სოფ. ძაღეეში მიეიდენ კაზაკები და ჯარის კაცები. ხალხმა რომ ისინი დაინახა, აქეთ-იქით გაიფანტა. მოედი სოფლის ქალებმა ვეღარ მოასწრეს გაქცევა და ერთს დანგრეულ ბოსელში შეაფარეს თავი. ვიღაც უსვინდისოს უოქკამს ჯარის კაცებისათვის: წამოდით, რა გაჩვენოთო, და მიუეანია ამ ბოსელში. ვეთ შეღება ცხვრების დარეკვინ ჯარის კაცები ბოსელში მომწეედეულ ქალებს... ადარ არჩეენდენ არც მოხუცებულებს, არც დიდს და არც პატარა, არც გულ-შეეუხებულებს.

რამდენი ამგვარი საზიზღარი ფაქტი მოხდა ამ ხნის განმავლობაში ცხინვალსა და ახლო მახლო სოფლებში, ვინ ჩამოთვლის. ან ჩამოთვლა რა საჭიროა. საქმე ცხადია, ჯარის კაცი არაფერი თუ სრული თავისუფლება ჭქონდ ი მინაჭებული, —ბარიქაო, მათ აქეზებდენ კიდეც. ამგვარი საქმე სასიქადულოდ მიიჩნიეთ და მიიჩნიათ.

მაინ თავგასულობის აწერა შეუძლებელია, გულის აღშფოთება ამ წერტილამდის მიდის, რომ აღმოჩნს ეროვნება ეხლა, კაცმა ხელიდან უფრდებ, სიტყვას ვ დრ ბოლობს, რომ დ საწერეს, დასურათოს იგი. რომ აიღოთ მოელი ქართული დეკლიკონი და ეველა სიტყვები ჩაათვალიერეთ, ვერ იპოვნათ ერთს სიტყვას, რომლითაც შეძლება მოგეცემთ გამოქვა თქვენი აღშფოთება. გულის თქმა, წერამ, ეველა სიტყვები მეროლია, ბეჭეტი, მიზანს ვერ აღწევს...

ერთს ჯარის კაცს ჭკითხეს, როგორ: საქმეთ?—ქალები კარგი ჭეავთ, მაგრამ უბედურობა ის არის, ხალხი ძალიან დარიბია— უპასუხა ნახევრად დალონებულმა ჯარის კაცმა. აი, თუ გინებავთ, უბარალო, მარტივი ლაპარაკია ამ სურათისა, რაც ამ ჟამად ხდება ჩვენს ქვეყანაში.

ამას სხადიან ჯარის კაცი. ვნახოთ ახლა როგორ უპირავთ თავი მათ უფროსებს,—ოფიცრებს. ეველაზე მეტი სასელი გიოქვა და წეველა-კრულვა დაიმსახურა კაზაკთა ერთმა ოფიცერმა ივ ლ ბ კ—ტოფმა. მისი დევიზია: მთრახი, ხმადი და ტეეია. რა სოფელში მივა, ის სოფელი ალრაა. ბრიგადისტის, რევოლუციონერის ასახელების კასსენებაზე ცოფების ჭერის. თვითონვე ამბობს, არ დავინდობ, არ შევიბრალებ არც ქალსა და არც ბავშვსა. სულ ამას ნატრობს, გიორგი მაჩაბელი (რასმის უფროსად ეყოფა) ჩამაგდებინა ხელშიო. რომ ჩვიგდებდე ხელში, ჯერ 150 რიზგს დვკრავ, ფერშალი კარგი მყავს, უცბად მოარჩენს, შემდეგ დვკრ ვ კიდევ 150 და, გორის ციხეში რომ კვეგზავნი, მე თვითონ გავყვები და გზაში ჩემის ხელით მოვკლავო. კაზაკებთან ქეიფობდა ერთხელ, მოგონა რაღაცაზე ეს მაჩაბელი, წამოვარდა ზეზე ცოფ-მარეული და კაზაკებს მიუბრუნდა: „ძმებო, მაჩაბელს რომ დავიჭერ და ბორში გავტანი, გზაში გაიქცევა?! — გაიქცევა, თქვენო ბატონ-ბავ! - უპასუხეს კაზაკებმა.—მერე?—მერე მოვკლავი!—როგორც ძაღლს?—როგორც ძაღლს, ურაა!—დაიღრიალეს კაზაკებმა.

ერთხელ ამ ოფიცრის სადგომის გვერდზე გაიარა ერთმა მთვრალმა ოსმა, იმის ფანჯრასთან უცბებელად ფეხი გაუსხლტა ტალახში, წაიქცა და ჯიბი ფანჯრის მოუხვდა, მინა გატეხა. გამოვარდა კარში ეს ემაწვალი კაზაკებით, გამგელ-გამომგლეფლი უღირეთოდ სცემა, 4 დუქანი განადგურა და გამარჯვებული სახლში დაბრუნდა.

რას არ სხადიოდა? დაოვრებოდა დუქანში კაზაკებთან ერთად და უცბად, დამე, მოინდომებდა რამელიმე სოფელში განავრდებას, — ѣдемъ, братцы на рекогносцировку!.—ეტყოდა კაზაკებს, და წავიდოდენ. წარმოიდგინეთ, რა დღე დაადგებოდა იმ დამეს სოფელს?!

მეორე ოფიცერი კ-ნაო დაოვრებოდა სადმე თავის ცოლთან ერთად და გამოვიდოდა ქუჩაში. ამ დროს ცხინვალელებს შემდეგი სურათი გადაეშლებოდათ ხოლმე თვალწინ: წინ მიდის ოფიცრის კნეგინა შიდი, 14 წლის ქალი, და თამაშობს, უკან მისდევს მამა და დაირს უკრავს, გვერდზე მისი მოყვარი ცოლი მოეკიდა ხელით მეორე ოფიცერს, ხოლო კაზაკები მოსდევენ მათ ქეთ-იქიდან და გამეფელ გამომგლეფლი სცემენ: ქუდი მოუხადეთ ჩვენს ოფიცერსო...

როდესაც უსაყვედურებენ ოფიცრებს, თქვენი ხელქვეითნი ამასა და ამას სხადიან, საზიზღრად იქცევიან, დანდობა არავისი აქვთო, ოფიცრები დიდის მეწერმეტეველობით თავს მართლულობენ და თავიანთ ხელქვეითებსაც ამართლებენ: —შედით ჩვენსა და სალდათებს ან კაზაკის ბლგომარეობაში, — აღელვებულის ხმით ლაპარაკობდა ქალების ერთ საზოგადოებაში კაზაკთა ოფიცერი თავადი ბ—ტოვი, რომელზედაც ზეკით გვქონდა ლაპარაკი,—ეს რამდენიმე წელიწადია, კაზაკს მიუტოვებია სახლ-კარი, ოჯახი და აქ სამსახურში გამოუწყვეთ იქ, სახლში, ცოლ-შვილი შიმშილით ეხოცება, ოჯახი ედუპება, ეველაფერი უპატრონოდ მიუტოვებია, ეოველ დღე მოსდის სახლიდან წერილები, რომელშიაც ცოლი აუწერს ეოველ კაეირვებას, შიმშილს, წეურვილს, შვილისა ან მასლობელის ავადმეოფობას, სიკვდილს. ეს კი სამსახურშია, არ შეუძლიან ერთი დღით მაინც დაბრუნდეს თავის ოჯახში და არც იცის, როდის დაბრუნდება. არც დღე, არც ღამე კაზაკსა და მის ცხენს მოსვენება არ აქვთ. დღეს რომ აქ ვართ, ხვალ იმერეთში გვიერავენ თავს, ზეკ ბურიაში, მაზეგ ტფილისში და ამ გვარად ცოცხურ ცხოვრებაში ვართ. გაიგეთ რამდენიმე კვირა, რომ კაზაკი ტანთვერ გაიხდის, არც ძილი აქვს, არც მოსვენება, სცივა, სცხელა, შაინ და ეველა ამ უბედურობის მიზეზი ვინ არის? ეს თქვენი რევოლუციონერები არიან, რომლებიც ურეკენ აქაურობას და მრავალგვარ უწესობას ახდენენ. კაამტეუნეო ახლა თქვენ კაზაკი, თუ რევოლუციონერს სასტიკად მოეკიდება და მერეთ ალრ მოაგონებს. ის ისე გაბორტებულია და გაბრაზებული, რომ მზად არის ბრიგადისტი და რაზმელი კბილით დაკლიჯოს. აითვითონ მე, ბარდ ბირ ვალიარებ, არავის არ დავინდობ. როდესაც რომელიმე რაზმელს ან ბრიგადისტს ჩემის ბრძანებით რიზგსა სცემენ, რ დაცა გაუგებარს სიამოვნებასა ვგრძობ, თითქოს გულზე ვიღაც სასმურად მეხანს. რატომ? იმიტომ, რომ მეც ამავე მდგომარეობაში ვარ, როგორც ჩემი კაზაკები. ჩემი გაშერეკა იქაშლის მივიდა, რომ მგბენარი დამეხვია, აი რითი აიხსნება ეველა ის უბედურობა, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ, — დასრულებია ოფიცერმა დიდის კმაეოფილებით, რომ თავი იმართლა.

ეველა ეს კარგად გვესმის და ადვილი გასაგებია. სასლის პატრონს თუ უნდა, რომ ავი ძაღლი ჭყვდეს ოჯახში, უნდა დაბას დღისით სადმე ბნელს სარდაფში, რომ ძაღლი ვერაგის ვერ ხედავდეს და ვერავის ვერ შეეჩვიოს, ცოტა უნდა აჭამოს და კისერზე ჯაჭვი არ უნდა მოაშორა. სალამოზე მოხსნის ჯაჭვს, გამოუშვებს კარში და ეი იმას, ვინც ეზოს ახლო გაეკარება. თავისუფალ მიშვებული, მშიერ-მწყურვალი, მოელი დღის ნაბმი ძაღლი, დარბის ეზოში გაშმაგებული მოელი დამე და ეძებს სად წაიწამოს და ვის დაეტაკოს.

ოფიცრის მიერ წამოეენებული გასამართლებელი სიბეთები ამ მხრივ საფეეძლიანია. მაგრამ რას ნიშნავს ის კარეამობა, რომ „რევოლუციონერზე გაბორტებული“ კაზაკი ან სალდათი მშვიდობიან ხალხს სძარცვავს, ქალებს აუპატიურებს, მოელს სოფლებს ანადგურებს? ამაზე ოფიცრები ბასუხს ვერ მოგცემენ. ამ შემთხვევაში ისინი ამბობენ: ეგ ტეუილია, თვითონ რევოლუციონერები სხადიან ამ საქმეს და ჯარის კაცებს აბრალებენო.

ერთს წვეულებაზე, რომელიც გორის, მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა გაუმართა გორის და დუშეთის მაზრების გენერალ-გუბერნატორს და სადაც მაწვეულნი იეენენ „ბრწყინვალე“ ბირები, ერთმა კნეინამ კაჭედა და ლაპარაკში გაუტარა გენერალ-გუბერნატორს, რაც ხდება გორის მაზრაში, და, სხვათა შორის, მოუყვანა რამდენიმე მაგალითი სოფლებში ქალების გაუპატიურებისა. გენერალ გუბერნატორმა ძალიან გაიოცა,— ნუ თუ ეგ მართალია? და შემდეგ დუმატა, ალბად „единичный случай“ თუ იეოფო.

ორიოდე სიტყვა ამ გვარ ნადიმებზე იმ დროს, როდესაც ჯარი მრავალგვარ სახიზღარ ძალ-მომრეობას ახდენდა ყორის მაზრის სოფლებში, როდესაც ჯარი ანადგურებდა, სძარცვავდა, ნამუსს ხდიდა მრავალ ოჯახებს და უოველ ფეხის გადადგმაზე ამბობდა: სამართველო მეორედ უნდა დავიბრუნოთ, მოელი ქართველობა უნდა გავსწეველოთო, ამ დროს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი სადღეგრძელოს უმართავს იმ კაცს, რომელიც ამ ჯარს სათავეში უდგას. რად ხდება, რითი აიხსნება ეს გარემოება, თუ არ ამით, რომ ყორის მაზრის მარშალს უნარიან რეაქცია, თანაუგრძნობს ჯარის საზიზღარ მოქმედებას და გულითად მადლობას უძღვნის მას. ერთი გარემოებაა აქ საინტერესო: თავად-აზნაურთა მარშალი მოქმედობს, როგორც მარშალი, თუ როგორც კერძო პირი? არა მგონია, ყორის თავად-აზნაურთა უმრავლესობამ მოუწონოს თავის წინამძღოლს ეს საქციელი და დარსებულად არ დაჭკმოს იგი.

ამ სიდიდეზე ყორის მაზრის უფროსმა ხმამაღლა განაცხადა: ყორის მაზრას ლეკარს ვუთმაშებ, ოოველ დონისძიებას ვიხმარ, რომ ქედი მოვახრევინო, არ დავერიდები არავითარ საშუალებს, რომ ცხოვრება თავის კალაპოტში ჩავაგდო, არ დავინდობ არც ქალს, და არც ბავშვს, ბრალიანსა და უბრალოსო. ამას ვიზამ, თუნდ თვით ხელმწიფემაც ბრძანოს, მაგას ნუ იზამო და შემდეგ კამასამართლოსო. ამას ორიოდე სიტყვა დუმატ კენერალ-გუბერნატორმაც: ცხინვალში კავიგეო, სომხებს უშბარები და იარაღი აქვთ დამალულიო; თუ ეს მართალი კამოდგა, ცხინვალს ცეცი დეე მოელის, პირდაპირ ზარბაზნებს დავუშენთ და ერთი შენობა რა არის, იმასაც არ კავუშვებთ დაუნგრეველს, ისე რომ ცხინვალიდან სახელსაც კი მოვსპობთო.

ამ გვარ სიტყვებს უგდებდენ ყურს მასპინძელი თავისი სტუმრებით და ზრდილობიანად იღიმებოდენ, ტლიმობდენ ჭურ-მარილით და სხვა და სხვა შესაქცევებით პატიოსანი ეტყოდა ძვირფას სტუმრებისთვის!

ცხვინვალშიაც გაუმართეს ნადიმი ჯარის უფროსებს, აქ მეთაურობდენ სომხის ტერ-ტერები. მცხოვრებლებიც ძალა-უნებურად უნდა დასწრებოდენ ამ მხაარულებას. მოგეხსენებათ, ერთგვარი სიმღერაა, თუ ვინმემ დაიწყო ეს სიმღერა დამსწრენიც ნება-უნებურად უნდა წამოდგენ ფეხზე და ქუდები მოიხადონ. ისე იყო ამ სადღეგრძელოც. ერთმა ოფიცერმა პირდაპირ გამოუცხადა ადგილობრივ სასწავლებლის მასწავლებელ ქალს: თუ ამ სადღეგრძელოზე არ დაესწრებით, რეკოლუციონერად ჩაგოვლიო და დაგატუსაღებო.

ამ სადღეგრძელოზე დამსწრენი უცხადებდენ ჯარის უფროსებს მოწიწებას, ერთგულებას და მადლობას, ოფიცრები კი ურჩევდენ მათ: როგორც წინად ასრულებდით ოოველგვარ ბრძანებას და მოიგრობის ერთგული იყავით, გირჩევთ, ამას იქითაც ისე იყოთო. სადღეგრძელოს წინ გადაიხადეს ბარაკლისი ქართულსა და სომხურს ენაზე და ძალით შეკრებილი სალხი ეკლესიაში ძალითვე დაიჩოქეს.

დიახ, ალბად მართალია რუსის დედაკაცი, როდესაც ამბობს, ჩემი ქმარი უვარგისია, რადგან არა მტეკმს ხოლმეო. ალბად ტემში რაღაც სიტკბოებაა, რომელიც ადამიანს იზიდავს და აუკარებს მისი მჩაგვრელის თავს!.. სვ. ᲧᲐᲜᲘ

(შემდეგი იქნება)

ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕ ᲛᲝᲫᲚᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

წერილი პირველი

ქველმოქმედება და საქველმოქმედო დაწესებულებანი

კარგა ხანია, რაც საქართველოში დიადმა მოძრაობამ იჩინა თავი. ჯერ კიდევ ამ თხუთმეტი წლის წინად ცხადად ეტყობოდა, რომ ჩვენი ხალხის წინანდელი აზროვნობა ირყეოდა და ხალხში ახალი მიმართულება ვრცელდებოდა; ეს მოძრაობა და ძველებურ შეხედულობის შერყევა ქართველ ერის ეკონომიურ განწყობილებასაც შეეხო, მის ზნეობრივ და გონებრივ ავლადიდებასაც. ახლა არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ მრავალ საუკუნეების განმავლობაში მხურვალე და წრფელ სასოების პატრონმა ქართველმა ხალხმა ეკლესიას თითქმის ზურგი შეაქცია და სრული გულგრილობა გამოიჩინა: ხალხს აღარ აკმაყოფილებ წინანდელი, მამაპაპური რწმენა და ზოგან სრულმა ურწმუნოებამ მოიკიდა ფეხი, ზოგან კიდევ ეგრედ წოდებული რაციონალური მიმართულებაა გამეფებული. სწორედ ბედნიერია ის განათლებული წრეები ხალხისა, რომელთაც შეუძლიანთ ამ დიად მოძრაობის სათავეში ჩადგენ და სწორე, გონიერ და ნაყოფიერ გზაზე დააყენონ იგი. ხალხს ხომ თავის თავად გზის გაგნება არ შეუძლიან. იგი გრძნობს მხოლოდ, რომ წინანდელი წესი ეხლა გამოუდეკარია, მაგრამ რა ცვლილება უნდა მოხდეს და როგორ,— ამისი გამორკვევის ძალღონე მას არა აქვს. სარწმუნოებრივ და ზნეობრივ შეხედულობის შეცვლა და გასწორება, რომელსაც მრავალ საუკუნოების განმავლობაში თვისი მდიდარი მწერლობა, განვითარებული დოგმატიური და საეკლესიო წყობილება აქვს შექმნილი, ძალიან ძნელი და რთული საქმეა. თითოეულ სარწმუნოებრივ და ზნეობრივ შეხედულობასა და დაწესებულებას თავისი წარსული და მნიშვნელობა ჰქონდა. განათლებულ წრეებს მოვალეობაა, შეიგონონ მნიშვნელობა თითოეულ ამგვარ დაწესებულებისა და გამოარკვიონ, აკმაყოფილებს იგი თანამედროვე მოთხოვნილებას თუ არა?

ჩვენში კი ერთ მხარესა ჰგონია, ვითომც წირვა-ლოცვის გამშვენიერება და ქადაგების შემოღება აჩერებდეს ურწმუნოებისა და ეკლესიისადმი გულგრილობის გავრცელებას, მეორე მხარე კიდევ დარწმუნებულია, ვითომც საკმარისია ხალხს ჩააგონოთ,—მღვდელი და ხატი რად გვინდაო, რომ რაციონალურმა მიმართულებამ მართლა გაიმარჯვოს. ორივე ეხარე შემცდარია იმიტომ, რომ გარეგნობა შინაარსად მიაჩნიათ და ზედაპირული საშუალებით სურთ დიად საქმეს წინ გაუძღვენ. წინადაც ყოველთვის და ყოველგან ასე ყოფილა, რომ ერის მოძრაობისათვის გარკვეული მიმართულება განათლებულ წრეებს მიუნიჭებიათ; ასევე უნდა იყოს ჩვენშიაც.

ამ წერილის ავტორს სურდა შეესწავლა, თუ რა ზნეობრივ ნიადაგზე იყო დამყარებული საქართველოში ქველმოქმედება, ვის ჰქონდა ზნეობრივი უფლება ქველმოქმედებით ეცხოვრნა, რა მიზეზის გამო ეხმარებოდა ქონებრივად ქართველი ერი სამღვდელოებასა და მონაზნებს, როგორ შეიცვალა თანდათან მონაზნების ორი უმთავრესი აღთქმა და როგორ გადაგვარდა იგი; დასასრულ, რა და რა საქველმოქმედო დაწესებულება არსებობდა ძველ საქართველოში და ვინ იყვნენ მათი დამაარსებელნი. ავტორს სურდა მკითხველისათვის ნათლად წარმოედგინა ზნეობრივი და საზოგადოებრივი შეხედულებანი, რომელზედაც დამყარებული იყო ქველმოქმედება და საქველმოქმედო დაწესებულებანი საქართველოში. დასავლეთ ევროპის სამეცნიერო მწერლობაში, მეტადრე საეკლესიო ისტორიის მკვლევართა შორის, ერთი ცრუ აზრი არის გავრცელებული, ვითომც აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხთა ზნეობრივი მოძღვრება მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შეუცვლელი, სრულებით გაქვავებული ყოფილიყოს. ჩვენ დავინახავთ, რომ აღმოსავლეთშიაც, განსაკუთრებით საქართველოშიაც ზნეობრივი მოძღვრება იმნაირადვე იცვლებოდა და სხვაფერდებოდა, როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომ საქარ-

თველოშიაც იბრძოდა ხალხი ზნეობრივ შეხედულების წარმატების გულისთვის.

ქართველ ხალხის ძირითადი ზნეობრივი შეხედულება სახარების მოძღვრებაზე იყო დამყარებული; ხოლო სახარების ზნეობრივი იდეალი იმაში მდგომარეობდა, რომ ადამიანი ისეთივე სპეტაკი და უნაკლულო ყოფილიყო, ვითარცა მამა ზეციერი, და დაუშრეტელ სიყვარულით და სათნოებით მოპყრობოდა თავის მოყვასს, მეტადრე უძლურს და გლახაკს: მშიერს, მწყურვალს, შიშველს, სნეულს და სხვა (მათე, XXV, 35 40). სახარებიდან ჩანს, რომ ქრისტეს უმთავრეს ზნეობრივ მცნებას ქველმოქმედება შეადგენდა. მერე ვინ ჩაითვლებოდა გლახაკად,—ყველა მშიერ-მწყურვალისათვის უნდა მიეცა კაცს ქველის საქმარი თუ არა? სახარებაში, რამდენადაც მახსოვს, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, მხოლოდ პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლეში თესალონიკელთა მიმართ ერთი წინადადება მოიპოვება, რომელიც სწორედ ამ საკითხზე გვაძლევს პასუხს. „რაჟამს იგი ვიყავ თქვენთანა,—სწერს დაუღალავი მოციქული,—მასავე გამცნებდი თქუენ, ვითარმედ უკეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჭამსცა, რამეთუ მესმის ვიეთთვისმე, რომელნი იქცევიან თქუენ შორის უწესოდ: არა რას იქმენ, არამედ მიმოიწულილვენ ესე ვითართა უკუჱ მათ. ვამცნებთ და ვლოცავთ უფლისა ჩუენისა მიერ იესო ქრისტესა, რათა მეუღრეებით ჭეშრებოდენ თჳსსა ჴელსა ჭამდენ“.

პავლეს სიტყვებიდან ჩანს, რომ ყველას ვისაც-კი შრომა და მუშაობა შეეძლო, მოვალე იყო ემუშავნა და ისე გამოეკვებინა თავისი თავი. მაშასადამე, იმ პირებს, რომელთაც მათხოვრობა ხელობად აქვთ არჩეული და მათხოვრობით ცხოვრობენ, არავითარი ზნეობრივი უფლება არა აქვთ ქველმოქმედების იმედი ჰქონდეთ, იმიტომ რომ „უკეთუ ვისცა არა უნებს საქმის, ნუცა ჭამსცა“.

დახმარების ღირსი იყო მხოლოდ უძლური, სნეული ან ბუნებითი ნაკლის პატრონი. ამ ჯგუფის გარდა ქველმოქმედების მიღების ზნეობრივი უფლება იმ პირებსა ჰქონდათ, რომელნიც, თუმცა სინიდისიერად შრომობდენ, წელებზე ფეხებს იდგამდენ, მაგრამ მაინც ხელმოკლედ, ღარიბად იყვნენ წვრილ შვილებისა გამო, ან არა და ქადაგება და მოძღვრება ქრისტიანეთა კრებულში იმდენ დროს ართმევდათ, რომ ლუკმა პურის საშოვნელად მუშაობისათვის მოცალეობა აღარა ჰქონდათ. თვით იესომ ამცნო თავის მოწაფეებს, რომ მქადაგებელსა და მახარობელს ზნეობრივი უფლება აქვთ დახმარების მიღების, მართალია, მოძღვარმა აუკრძალა თავ-ს მოწაფეებს, რომ ქადაგებაში რაიმე საფასი გამოერთმიათ, მაგრამ დაავალა, ნუ წაიღებთ,—„ნუცა ვაჭკარანსა გზასა ზედა, ნუცა ორსა სამოსელსა, ნუცა ხამლთა, ნუცა კუერთხსა, რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳისსა. (მათე, X, 10).

ლუკა მახარობელს უფრო ვრცლად და უკეთესად აქვს მოყვანილი ეს იესოს სიტყვა: „მასვე სახლსა შინა იყუენით, ჭამდით და ჭუემდით მათ თანა, რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳისსა (ლუკა, X, 7). ამნაირსავე მცნებას მისდევდენ მოციქულების დრო', მხოლოდ პავლე მოციქულმა შესცვალა ცოტა ეს ჩვეულება: „არა უწყითა,—ჰკითხავს იგი კორინთელთ,—რამეთუ რომელნი იგი ბაგინსა ჰმსახურებენ, ბაგინისაგან ჭსჭამიან? და რომელნი საკურთხეველსა წინაშე ჭსდგანედ, საკურთხეველისაგან ნაწილი განიღიან? ეგრეცა უფალმან ჰბრძანა, რომელნი იგი სახარებასა მიუთხრობენ, სახარებისაგან ცხოვრებაჲ, ხოლო მე არაჲ რა ვიხმიე ამთჳგანი, (ა კორინთელთა, IX, 14—16).

პავლეს ერთ სხვა თავის ეპისტოლეში მოყვანილი აქვს ის მოსაზრება, რომლის გამოისობითაც მას არ სურდა, რომ სხვისაგან გამოსაკვები აეღო. „თქვენ უწყით,—ამბობს იგი,—ვითარ იგი ღირს ბაძვად ჩუენდა, რამეთუ არა ‘რაჲ უჯერო ვჰყავთ თქუენ შორის, და არცაჲ ტუდაჲ ჴურა ვისგანმე ჭჴსჭამეთ, არამედ შრომითა და რეჯულებითა ღამე და დღე ვიქმოდით, რათა არავის თქუენგანსა დაუმძიმოთ... რამეთუ რაჟამს იგი ვიყავ თქუენთანა, ამისავე გამცნებდი თქვენ, ვითარმედ უკეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჭამსცა“ (ბ. თესალონიკელთა, III, 7—10).

პავლეს ამ ორ სიტყვიდან შეიძლება ადამიანმა დაინახოს, რომ დაუღალავ მოციქულს არ უნდოდა „სახარებისაგან ცხოვრებაჲ“, ე. ი ქადაგების გამო სასყიდელი აეღო ხალხისგან ერთის მხრით იმიტომ, რათა არავის „დაუმძიმოთო“, არავინ შეეწუხოო,—ეს რასაკვირველია პირადი ზნეობრივი მოსაზრებაა; მეორეს მხრით იმის გამო, რომ „უკეთუ ვისმეს არა ჰნებავს საქმის გაკეთება და მუშაობა, უფლება არა აქვს, რომ ლუკმა პური ჭამოსო“,—ეს, რასაკვირველია, ობიექტიური, ზოგადი ზნეობრივი მცნებაა.

მართლაც როცა კი პავლე ქადაგებისაგან მოიცლიდა ხოლმე, მაშინვე თავის ხელობას შეუდგებოდა და კარვებს აკეთებდა ხოლმე; აკი ამიტომ შეეძლო მას მიტელინელთა მიმართ თამამად ეთქვა: თქუენ თვით უწყით, რამეთუ სახსრსა მას ჩემსა და რომელნი იყუნეს ჩემთანა ჴელნი ესე ჩემნი მსახურებდესო“ (საქმე მოციქულთა, XX, 34).

ამგვარად, თუმცა პავლე მოციქული იმ აზრისა იყო, რომ მქადაგებელსა და მოძღვარს უფლება ჰქონდა კრებულისა ან სამწყსოსაგან სასყიდელი და დახმარება მიეღო, მაგრამ პირადად მას უკეთესად მიაჩნდა რომ, სამღვდელოებას უსასყიდლოდ და უანგაროდ ესამსახურნა სამწყსოსათვის; მაშასადამე, მწყემსს მხოლოდ განსაკუთრებულ გაჭირვების დროს უნდა მიემართნა კრებულისათვის. კვიპრიანე ეპისკოპოზის (მე-III საუკ) წერილებიდან ჩანს, რომ უძველეს ხანაში, ქრისტიანობის პირველ საუკუნეების განმავლობაში, სწორედ ამ მცნებას მისდევდენ და მწყემსნი ცდილობდენ თავიანთ შრომით გამოეკვებათ თავიანთი თავი. ამიტომ თითქმის ყველაფერი, რასაც-კი მორწმუნენი სწირავდენ ხოლმე კრებულს საქველმოქმედოდ, განსაკუთრებით ღარიბ-ღატაკსა და გლახაკს ახმარებდენ ხოლმე.

მაგრამ თანდათან საქმის მდგომარეობა იცვლებოდა; მღვდლებსა და დიაკვნებს იმდენი საქმე დააწვათ თავზე, როცა ქრისტიანობა საყოველთაოდ გავრცელდა და ნებადართულ სარწმუნოებად იქმნა აღიარებული, რომ ლუკმა პურის საშოვნელად აღარ სცალოდათ და ხელობისათვის თავი უნდა დაენებებიათ. ამის გამო თანდათან სამღვდელოება იძულებული გახდა სამწყსოს ქველმოქმედებისათვის მიემართნა და იქიდან მიეღო სასყიდელი და გამოსაკვები. მაშინ შემოიღეს გლახაკებისა და სამღვდელოების სიების შედგენა და ამ სიების მიხედვით, რომლებსაც ლათინურად matricula, canon („მატრიკულა“ ანუ „კანონი“) ერქვა, უნაწილებდენ ხოლმე კრებულის შეწოწირულებას.

კრებულის ანუ ეკლესიის ქველმოქმედებით, მაშასადამე, პირველ ხანაში მხოლოდ გლახაკნი და სამღვდელოება იკვებებოდა; გლახაკები—სინანულისა და ქრისტეს მიერ სიყვარულის გამო იღებდენ დახმარებას, სამღვდელოება—ვითარცა შრომის გასამრჯელოს. მაგრამ უძველეს დროსვე*) ქრისტია-

*) A. Harnack Entstehung des Mönchthums, Sitz. B. d. König. preussisch. Akademie d. Wissenschaften zu Berlin 1891, S. 380—1.

ნეთა კრებულებში ისეთი პირებიც იყვნენ, რომელთაც ქალწულებისა და სიგლახაკის აღთქმა ჰქონდათ დადებული და ზნეობრივ სისპეტაკის დაცვა სურდათ. სოფლიდან სოფლად, ქალაქიდან ქალაქად დადიოდენ ისინი და ქადაგებასა და ეკლესიის საქმეებს ემსახურებოდენ. მიმოსვლისა და ქადაგების დროს ს ხარების მცნებისამებრ მათ თან არაფერი არ მიჰქონდათ ხოლმე საგზლად და მხოლოდ ქრისტიანეთა დახმარებით იკვებებოდენ. მაგრამ თანდათან, როცა მღვდლობა მხოლოდ ხელდასმულებს შეეძლოთ მიეღოთ, ხოლო მოძღვრების უფლება მარტოოდენ განსაკუთრებულ ცოდნით იღჭურვილ პირებს ლა ჰქონდათ, ამ ორივე სქესის ქალწულების აღმთქმელთ ქრისტიანეთა კრებულსა და საზოგადოებაში საქმე აღარაფერი ჰქონდათ, მათს მიმოსვლასა და მოღვაწეობას ერში მნიშვნელობა და მიზანი დაეკარგა,*) მით უმეტეს, რომ ხალხში სიარულისა და ტრიალის დროს ბევრჯელ ჩავარდებოდენ ხოლმე განსაცდელში და ქალწულების აღთქმის ასრულება და დაცვა უძნელდებოდათ. კვიპრიანე ეპისკოპოსის წერილებიდან ჩანს, რომ მე-III საუკუნეში ეს ქალწულნი ხშირად ერისკაცებზე უარესად იქცეოდენ და მრუშობდენ**). მაშინ-კი ერთმა ჯგუფმა, დაინახა რა ის განსაცდელი, რომელიც ქალწულ ების მისწრაფების გაქარწყლებას უქადდა, ისევ უდაბნო არჩია წუთისოფელს და უდაბნოში გაიხიზნა, რომ მაცდური ქვეყანა თვალიდან მოეშორებინა.

ამნაირად გაჩნდენ მეუდაბნოენი. ამ ახალმა მოღვაწეობამ დიდი გავლენა იქონია ქრისტიანეთა საზოგადოებაზე და ბევრი მიმბაძავიც გამოუჩნდა. მეუდაბნოენი სტოვებდენ კერძო საკუთრებას, მიწა-წყალს და მხოლოდ ახლომახლო ადგილების მცხოვრებნი აწვდიდენ ხოლმე ცოტაოდენ სურსათს. მართალია, მეუდაბნოენი ცდილობდენ, რომ მწვანილეულობით და ხილით, რასაც კი მიდამოებში იპოვნიდენ, წასულიყვენ იოლად,—ასეთ ბერებს მოძღვრებს ეძახდენ კიდეც,—მაგრამ ერისკაცთა ქველმოქმედებას და თანაგრძნობას რომ მოკლებულნი ყოფილიყვენ, ისინი ვერ გასძლებდენ; ერთის სიტყვით მეუდაბნოენი და მონაზნებიც მიემატნენ იმ ჯგუფს, რომელიც საზოგადოების ქველმოქმედებით სარგებლობდა; სამღვდელოებას შემდეგში გაუჩინეს განსაზღვრული მუდმივი საზრდო, ჯამაგირი, გლახაკები და მონაზნები-კი წინანდებურად ქრისტიანეთა ქველმოქმედებით იკვებებოდენ. გლახაკებსაცა და მონაზნებსაც ქველმოქმედებას იმიტომ აძლევდა საზოგადოება, რომ ორივენი უსახსრო და ღარიბები იყვენ. მაგრამ ეს კი უნდა სთქვას კაცმა, რომ ამ ორ ჯგუფის მდგომარეობის შორის დიდი განსხვავება არსებობდა. ოღონდაც. გლახაკები თავისდაუნებლიედ იყვნენ ღარიბი და უსახსრო: ან რაიმე სხეულის ნაკლის გამო, ან არადა წვრილშვილობის მიზეზით; მონაზნები კი თავიანთ ნებაყოფლობით, საკუთარის სურვილით იყვნენ ღარიბი და უსახსრო: მათ შეძლება ჰქონდათ, მაგრამ თითონვე აირჩიეს სიგლახაკე და სიღარიბე იმიტომ, რომ ამნაირად, მათის აზრით, ზნეობრივად სრულნი და უმანკო გამხდარიყვენ. ამისდაგვარად გლახაკებს მთელი ქრისტიანეთა კრებული, ეკლესია ეხმარებოდა ხოლმე, მონაზნებს კი კერძო პირები, თითოული გულშემატკივარი და თანამგრძნობელი.

(შემდეგი იქნება).

ივ. ჯავახიშვილი.

*) ibid გვ. 383.
**) idid გვ, 382—3,

მუნიციპალიზაცია.

ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას მხოლოდ მაშინ მოჰყვება სასურველი შედეგი, როდესაც საზოგადოებაში არსებულ წყობილების უარისყოფასთან ერთად გავრცელებულია იმისი ცოდნაც, თუ რომელ წყობილების შემოღება სასურველი ან შესაძლო არის არსებულ წყობილების სამაგიეროდ. მართლაც, არსებულის ცარიელი უარისყოფა თავის-თავად ხალხის ცხოვრებაში ვერ შემოიტანს ყველა იმ ცვლილებას, რომელიც საჭიროა ხალხის საბედნიეროდ. „ძირს თვითპყრობელობა“-ს ძახილით ვერც რესპუბლიკა და ვერც საკონსტიტუციო მონარქია ვერ დამყარდება იქ, სადაც ხალხმა უკვე არ იცის, თუ რა არის რესპუბლიკა ან კონსტიტუცია. „ძირს კაპიტალისტური წყობილება“-ს თქმით სოციალიზმი თავის თავად არ დამყარდება, თუ ხალხს ამ მოძღვრების დედა აზრი არა აქვს შეთვისებული, და აგრეთვე „ძირს მიწის კერძო საკუთრება“-ს წამოძახებით კერძო საკუთრების პრინციპი არ დაირღვევა, თუ ხალხს ნათლად არა აქვს წარმოდგენილი ის, თუ საკუთრების რომელი წესი შემოვა კერძო საკუთრების სამაგიეროდ.

ეს მომავალ წყობილების დედა აზრები ყოველ პარტიის პროგრამა-მაქსიმუმშია გამოხატული და ამ მხრივ ეს პროგრამა სასურველი და სასარგებლოა.

მაგრამ რაკი პროგრამა-მაქსიმუმი „სასურველ“ წყობილების გამომხატველი იდეალია,—და იდეალი კი ცხოვრებაში ასე ადვილად განხორციელებას არ ეღირსება, ამიტომ პრაგრამა-მაქსიმუმთან ერთად პარტიებს აქვთ პროგრამა მინიმუმი, რომელშიაც მოთავსებულია ის რეფორმები, რომელიც, პარტიის აზრით, თვით ახლო მომავალშიაც ადვილი შემოსაღებია.

პრაქტიკულ ცხოვრებისთვის და ცხოვრებაში გაბატონებულ წყობილების დასამხობად, რასაკვირველია, ყოველთვის მეტი მნიშვნელობა ექნება პროგრამა-მინიმუმს, პრაქტიკულ რეფორმებს, და ზოგიერთი პარტია ხომ სრულებითაც გვერდს უხვევს პროგრამა-მაქსიმუმის შემუშავებას და მხოლოდ ისეთ პარტიულ პროგრამას იღებს, რომელიც პრაქტიკულ რეფორმებს შეიცავს.

რომ შევადაროთ ახლა ამ მხრივ სხვა და სხვა პარტიების პროგრამა, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მრავალ ძირითად საკითხის შესახებ თვით ეს პარტიები ვერ შეთანხმებულან. თუმცა ყველას სწყურია ქვეყნის კეთილდღეობა, მაგრამ თვით ეს მცნება,—კეთილდღეობა, სხვა და სხვა გვარად ესმით და ამ კეთილდღეობის მისაღწევად ისინი ხშირად სულ განსხვავებულ გზას ადგებიან, და თუ პარტიების ინტელიგენცია ვერ შეთანხმებულა ასეთ საკითხების შესახებ, რაღა უნდა ჰქმნას საზოგადოების დანარჩენმა ნაწილმა, რომელსაც დრო და მოცალეობაც არა აქვს,—საქმეს ჩაუკვირდეს და სასურველი ან ცხოვრებაში შემოსატანი რეფორმები თვითონვე გამოიკვლიოს.

ამ მხრივ ყველაზე უფრო საინტერესოა კერძო საკუთრების საკითხი, რომელიც ამჟამად თვით უკიდურეს პარტიებშიაც განხეთქილების საგნად არის გამხდარი. ზოგიერთები კერძო საკუთრების პრინციპს არ უარჰყოფენ და მხოლოდ ცდილობენ მშრომელ გლეხობას მეტი მიწა გადასცენ. ზოგიერთები კი ამტკიცებენ, რომ უნდა მოისპოს თვით მიწაზე კერძო საკუთრების პრინციპი, რომ მიწა უნდა ეკუთვნოდეს ხალხს, საზოგადოებას ან სახელმწიფოს. აგრარულ საკითხის

შესახებ აუარებელი წიგნია გამოცემული, ყველანი ამ საკითხის შესახებ მსჯელობენ, მაგრამ დღემდის საზოგადოება ერთ გარკვეულ აზრს ვერ დასდგომია იმის შესახებ, თუ როგორ ან რა გზით შეიძლება ამ საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა. მართალია, ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ რუსეთში ახლო ხან ახალი აგრარული პროგრამა შეიმუშავა მაგრამ ეს პროგრამები ჯერ თითქმის გამოცხადებული არც არის და ხალხმაც მათი არსებობა არ იცის.

კერძო საკუთრების პრინციპი საკამათო საგნად არის გამხდარი არა მარტო სოფლის შესახებ,—თვით ქალაქებშიაც ამნაირ საკუთრების შერჩენას ან მის მოსპობას დიდი და განუზომელი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. იქ, სადაც ხალხი შეჯგუფულია, სადაც ვიწრო ქუჩებში ღარიბად და თითქმის რიგიან სადგომს და დღის სინათლესაც მოკლებულად ცხოვრობს ის მუშა ხალხი, რომელიც თავის ზურგზე იტანს მთელ სახალხო წარმოებას მშვიდობიანობის დროს და რომელიც განმათავისუფლებელ ბრძოლის დროს მებრძოლთა პირველ რაზმში დგას, სადაც სდუღს პოლიტიკური ცხოვრება და ყველა უფრო შეგნებულად უკვირდება თავის მდგომარეობას,—იქ კერძო საკუთრების პრინციპი შეუბღალავი უნდა დარჩეს თუ არა, და თუ სასურველად ვცანით მისი მოსპობა, როგორი წესი უნდა დამყარდეს მის მაგიერად, ვინ უნდა შეიქმნეს იმის მესაკუთრედ, რაც დღეს კერძო მესაკუთრეთა ხელში ხალხის დამონების და გაყვლეფის იარაღად არის გადაქცეული.

მართლაც, კერძო საკუთრების თავისუფლება, რომელიც პიროვნების თავისუფლებასთან ერთად ადამიანის ძირითად უფლებად იქმნა გამოცხადებული, ქალაქ ადგილებში განსაკუთრებით ძნელად უთანხმდებოდა ხალხის საჭიროებას. ვისაც ქალაქ ადგილას საკუთრებად აქვს მიწა, ქალაქში მცხოვრებთა ნამდვილი ბატონი არის. კაპიტალისტურ წყობილების განვითარებასთან ერთად ყოველი ქალაქი იზრდება, ქარხნები მრავლდება და მუშა ხალხი ქალაქში თავს იყრის. ამ ხალხს სადგომები სჭირია, სადგომების აგებისათვის თავისუფალი მიწაა საჭირო, და აი მიწის მესაკუთრე არ იძლევა თავის საკუთარ მიწას, ან თუ იძლევა, ისეთ ფასს ითხოვს, რომ შეუძლებელი ხდება მაზე იაფ ფასიან სადგომების აგება.

რამდენი მიწის მემამულე გამდიდრდა არა თავის შრომით, არა მიწის შემუშავებით, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ რომელიმე ქალაქი გაიზარდა იმდენად, რომ ამ მემამულის მიწაც საჭირო შეიქმნა სადგომების ასაშენებლად. ქცევობით ნაყიდ მიწას ეს მემამულე საჟენობით ასაღებს, ნაწილ ნაწილ ჰყიდის და თანდათან ფასსაც უმატებს — ხშირად ფასი წინანდელთან შედარებით ერთი ათასად მატულობს.

მიწის ფასი და ამიტომ მიწის შემოსავალიც ქალაქ ადგილებში იზრდება იმის გამო, რომ ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი მატულობს, რომ ამა თუ იმ ქუჩაში ტრამვაი გადის, რომ ამა თუ იმ ქუჩაში რომელიმე ახალი დაწესებულება დაარსდა, რომ წყლის გამოყვანა იკისრა ქალაქმა, რომ ქუჩა გაასუფთავა და სხვა და სხვა. რაკი ყველა ადგილობრივი დაწესებულება უფრო ხშირად შუაგულ ქალაქშია მოთავსებული და იქვე უფრო სდუღს ქალაქის ეკონომიური ცხოვრება, იქ არის საუკეთესო სავაჭროები, ამიტომ შუაგულ ქალაქში მიწის ფასი და შემოსავალი შედარებით უფრო მეტია, ვიდრე ქალაქის განაპირაში. ქალაქის ყველა მცხოვრები ფულს ხარჯავს ქუჩების გასაკეთებლად, წყლის გამოსაყვანად, ფულს ხარჯავს ისიც, ვისაც არავითარი მიწა არა აქვს; ამ ხარჯით კი სარგებლობს მიწის მესაკუთრე და ისიც ყველა კი არა, არამედ მხოლოდ ის, ვის სახლის წინ ჩაივლის ტრამვაის ლიანდაგი ან ვის ქუჩისკენ წყალი იქნება გამოყვანილი. სარგებლობს, მიწაზე ფასსა სწევს, აშენებულ სახლებში ბინებს ქირას უმატებს და ამნაირად თავის ზედმეტ მოგებას ხშირად ღარიბ მცხოვრებთა ჯიბიდან იღებს.

ცხადია, რომ ეს მოგება უკანონო, დაუმსახურებელია, რომ იგი იმის ჯიბეში არ ჩადის ვისი მიზეზითაც ეს მეტმეტი მოგება წარმოსდგა. ქალაქის მცხოვრებლები, მთელი ქალაქი საერთოდ თავის ზრდით და განვითარებით აძვირებენ მიწას და ამიტომ ეს მეტი ფასი მათსავე, ისევ მცხოვრებთა ჯიბეში უნდა დაბრუნდეს. ეს კი შესაძლო არის ორის გზით: ან ამ ზედ მეტ მოგებაზე და ფასზე განსაკუთრებული გადასახადი უნდა იქმნეს შემოღებული და ამ გადასახადის სახით მესაკუთრეს უნდა აერთვას მთელი მისი „დაუმსახურებელი მოგება“,—ან თვით მიწა ქალაქის კუთვნილებად უნდა იქმნეს გამოცხადებული, უნდა მოისპოს ქალაქში კერძო საკუთრება მიწაზე, მიწის მესაკუთრედ თვით ქალაქი უნდა შეიქმნეს, უნდა მოხდეს ეგრედ წოდებული მიწის მუნიციპალიზაცია.

დასავლეთ ევროპაში დღემდის ორივე გზა არის ნაცადი და ყველგან ხალხი იმ აზრს დაადგა, რომ მიწის მუნიციპალიზაცია ყოველი მხრივ სასურველია. მხოლოდ მისი ერთბაშად განხორციელება ძნელია. ყველა ქალაქს თავისი საკუთარი მიწა აქვს, და თუ ჩვენში ქალაქის „მამები“ ქალაქის მამულების გაყიდვას ჩქარობენ და ამნირად კერძო მემამულეთა რიცხვს ამრავლებენ, საზღვარ გარეთ თითქმის ყველა უმთავრეს ქალაქს განსაკუთრებული ფონდი აქვს გადადებული მიწის შესაძენად და ზედ იაფ-ფასიან სადგომების ასაგებად. ცხოვრებამ დაამტკიცა იქ, რომ ქალაქის ხელში მიწა უფრო სასარგებლოა ხალხისთვის, ვიდრე კერძო საკუთრების დროს, როდესაც მიწით სარგებლობს და მოგებული რჩება მხოლოდ მისი მესაკუთრე და არა ხალხი.

მაგრამ ქალაქს ევროპაში მხოლოდ მიწაზე კერძო საკუთრების შემცირებით არ უცდია იმ წყობილების შეცვლა, რომელიც ახლა მდიდრების ხელში აგდებს ხალხის უმეტესობის მონაგარს.

დიდ ქალაქებში რიგიანი ცხოვრება შეუძლებელია, თუ ქუჩები და სადგომები კარგად განათებული არ იქმნა. დიდ ქალაქებში გაძნელდებოდა ყოფნა, რომ ქუჩებში ჩქარ მიმოსვლისთვის არ ყოფილიყო გამართული ტრამვაი ათას ავადმყოფობით დაიხოცებოდა ხალხი, რომ ჰიგიენის მხრივ სასანიტარო ზედამხედველობა არ იყოს შემოღებული, რომ სუფთა, ახალი და იაფი სანოვაგე არ შემოდიოდეს ქალაქში. და ყველა ეს საქმე,—განათება, ტრამვაი, წყლისაყვანი, უსუფთაობის გადაზიდვა ნავთსადგურების მოწყობა და სხვა ასეთი საქმე თუ კერძო მწარმოებელთა ხელში დატოვებული შეიქმნა, მაშინ ხალხს ერთი ორად და ერთი სამად დაუჯდება ყოველიფერი და მისი ცხოვრების პირობები ამის გამო წახდება. ევროპაში ყველა ქალაქი ახლა საზოგადოდ ცდილობს ყველა ხსენებული საქმე თვითონვე იკისროს და ყველგან გამოცდილებამ ხალხს დაუმტკიცა, რომ ამ საქმეების მუნიციპალიზაცია, ე. ი. ქალაქის ხელში გადასვლა მათ ჩარჩულ ხასიათს უსპობს.

როდესაც, მაგ., წყლისაყვანის საქმე კერძო მწარმოებლის ხელშია, მაშინ ეს უკანასკნელი, რასაკვირველია, ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მოგება ნახოს და ღარიბს თუ მდიდარს,—ყველას წყალში ფულს ახდევინებს, რის გამოც ღარიბებს კისერზე აწვება წყლის ფასი, როგორც მძიმედ ასატანი არა-

პირდაპირი გადასახადი. პირიქით, მაშინ, როდესაც წყლისაყვანი და სხვა აღნიშნული საქმე ქალაქის ხელშია გადასული, ადვილად შეიძლება ქალაქმა ღარიბებს წყალი მუქთადაც მისცეს, სინათლე იაფად დაუთმოს, გაუადვილოს მისვლა-მოსვლა, კარგ სანოვაგის შოვნა და ამით ერთის მხრივ გაუადვილოს ცხოვრება და მეორეს მხრივ საზოგადოდ სანიტარულად და კულტურულად უფრო მაღლა დააყენოს ქალაქი.

ქალაქი ევროპაში არა თუ აღნიშნულ საქმეებს კისრულობს, არამედ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებაში სხვა მხრივაც მონაწილეობას იღებს. ქალაქს იქ თავისი მუშები ჰყავს და მათთვის მუშაობის და ცხოვრების უკეთეს პირობების შექმნით ქალაქი სხვა მწარმოებლებსაც აიძულებს, თავიანთ მუშებსაც ისეთივე ქირა და სახლი მისცენ. ამას გარდა ქალაქი რამე სამუშაოს თუ კერძო მწარმოებელს აძლევს გასაკეთებლად,—პირობას ადებინებს, რომ იგი თავის მუშებს განსაზღვრულზე ნაკლებ ხელფასს არ მისცემს, წინადვე მორიგებულ პირობებში ჩააყენებს და საზოგადოდ არ შეავიწროვებს და, რაკი ბევრგან ქალაქებს დიდი სამუშაო აქვთ და ეს სამუშაო თან და თან მატულობს, რადგანაც მუნიციპალიზაციის იდეაც ვრცელდება,—ამიტომ ქალაქის გავლენა და მუშათა კითხვაშიც მუნიციპალიზაციის გამარჯვება იზრდება.

ქალაქი ეკონომიურის და კულტურის მხრივ წარმოადგენს ცალკე ერთეულს, რომლის წევრებს ერთმანეთში ბევრი რამე აქვთ საერთო. ერთად ცხოვრება ერთნაირ ინტერესებს ჰქმნის ქალაქის მცხოვრებლებში და ამიტომ ადვილი ასახსნელია, თუ ეს მცხოვრებლები ცდილობენ თავიანთ საქმეების გამგეობა თვითონვე იკისრონ და ისე მოაწყონ ყველა საქმეები ქალაქში, როგორც მცხოვრებლებისთვის არის საუკეთესო. ქალაქი, როგორც თვითმმართველი ერთეული, საერთო ინტერესებს კერძო მწარმოებელთა ინტერესებზე უფრო მაღლა აყენებს და წინ ეღობება კერძო საკუთრების თავისუფლებას, ვაჭრობის თავისუფლებას ან თავისუფალ კონკურენციას იქ, სადაც ამ თავისუფლების არსებობით რამენაირად ზიანი ეძლევა ხალხში პიროვნების თავისუფლებას ან ხალხის საერთო კეთილდღეობას. ევროპაში ქალაქების ასეთ პოლიტიკის გამო, რომელსაც საერთო სახელად ერქმევა მუნიციპალიზაცია,—ხალხის გონებაში თან და თან ფეხს იკიდებს სოციალიზმის იდეაც.

მაგრამ სხვა და სხვა ზემოაღნიშნულ საქმეთა ქალაქის საკუთრებად გამოცხადება ყველგან ხალხისთვის სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. იმისთვის, რომ საერთოდ საწარმოო საქმე ხალხისთვის სასარგებლო შეიქმნეს, საჭიროა, რომ მისი წარმოება გადაეცეს ისეთ დაწესებულებას, რომელიც ხალხისგან არჩეული, დემოკრატიულად მოწყობილი და ამიტომ ხალხის უმეტესობის სურვილთა აღმასრულებელი იქნება. იქ კი, სადაც ქალაქის თვითმართველობა შეძლებულთა ხელშია, ყოველი საერთოდ საწარმოო საქმე ადვილად შეიქმნება ისევ ამ შეძლებულთა სასარგებლო და ხალხის ღარიბი უმეტესობა ისეთსავე უმწეო მდგომარეობაში დარჩება, როგორც კერძო მწარმოებელთა ბატონობის დროს,—შეიძლება უარესშიაც, ვინაიდან მუნიციპალიზაცია მონოპოლიის ნიშნავს და მონოპოლისტს მისი მოქიშპე არ აიძულებს ფასების დაკლებას.

ამიტომ ევროპაში მუნიციპალიზაციის იდეასთან ერთად ვრცელდება და ფეხს იკიდებს რწმენა, რომ მხოლოდ დემოკრატიულად მოწყობილ თვითმართველობას და ქალაქისა თუ სახელმწიფოს დემოკრატიულ წესწყობილებას შეუძლია ხალხის ინტერესთა ნამდვილი წარმომადგენლობა და ხალხის ყველა მოთხოვნილებათა შესაფერი დაკმაყოფილება. პ—ლი.

ქალთა საარჩევნო უფლება ავსტრალიაში.

ავსტრალიის კოლონიებისა და ავსტრალიის კავშირის ქალებს თითქმის ნაძალადევად მიეცათ უფლება სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღებისა. სამხრეთ ავსტრალიაში ბრძოლა ქალთა პოლიტიკურ უფლებებისთვის დაიწყეს და დაამთავრეს თითქმის მარტო მამაკაცებმა. ასეთივე ამბავი მოხდა დასავლეთ ავსტრალიაშიაც. 1902 წელს ფედერაციის პარლამენტმა ისე დაამტკიცა კანონ-პროექტი ქალთა საარჩევნო უფლებების შესახებ, რომ ამ საკითხს არც ცხარე კამათი გამოუწვევია და არც დიდი უთანხმობა.

1878 წელს გრეის სამინისტრომ პარლამენტში შეიტანა კანონ-პროექტი, რომლის თანახმად ყველა ქალს, ვინც კი რაიმე გადასახადს იხდიდა, უნდა მისცემოდა უფლება პარლამენტის წევრთა არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. პარლამენტმა პირველ კითხვის დროს უარჰყო ეს კანონპროექტი. საინტერესოა მოსაზრება ერთ დეპუტატისა, რომელმაც განაცხადა: „თუ ქალებს ადგილი დავუთმეთ ამ პარლამენტში, ბევრი პატივცემული დეპუტატი გადაჭარბებულ ყურადღებას მიაქცევს მათ და ისე გულმოდგინედ ვეღარ იმუშავებენ, როგორც დღეს მუშაობენ. მართალია, რაც დრო გადის, ადამიანს ჭკუა ემატება, მაგრამ უნდა გამოვტყდე და გამოვაცხადო, რომ ვერც მე შევიმაგრებდი თავს წინაშე დედაკაცისა. პატივცემულ ჯენტლმენს ამ კანონპროექტში ისეთი მუხლი რომ შეეტანა, რომლის ძალით დეპუტატის უფლება ეძლევათ მხოლოც მახინჯ ქალებს,—პროექტი სახიფათო არ იქნებოდა, მაგრამ თუ პარლამენტში ლამაზი ქალებიც გაგვიჩნდენ, მაშინ, უეჭველია, ბევრი მოხუცი დეპუტატი წაწყდება. დასასრულ უნდა განვაცხადო, რომ, თუ პარლამენტში მართლა შემოუშვით ლამაზი ქალები, ჩემი მეუღლე აქ შემოსვლის ნებას აღარ მომცემსო“. თუმცა მეორე წაკითხვის შემდეგ კანონპროექტი მიიღეს, მაგრამ ისე დაამახინჯეს და დაასახიჩრეს, რომ ავტორმა თავისი ნაწარმოები ვეღარ იცნო.

მალე პოლიტიკური ბატონობა კონსერვატორებმა ჩაიგდეს ხელში. მაგრამ ქალთა საარჩევნო საკითხის შესახებ ისინი პროგრესისტებზე უფრო რადიკალები აღმოჩნდენ. ქვედა პალატამ წინანდელ კანონ-პროექტს მოუმატა ერთი მუხლი, რომლის ძალით ყველა სრულწლოვან ქალს საპარლამენტო საარჩევნო უფლება ეძლეოდა. ზემო პალატამ ორი ხმის უმეტესობით უარჰყო ეს პროექტი, მაგრამ ის კი ცხადი იყო, რომ დღეს თუ ხვალ ქალები გაიმარჯვებდენ და მომავალ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდენ.

ამავე დროს საოცარის ძალით იფეთქა „სიფხიზლის“ მოძრაობამ, რომელსაც ქალებმა დიდი დახმარება გაუწიეს. მოძრაობის მეთაურნი თავგამოდებით იცავდენ ქალების უფლებებს, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ ქალები მომავალშიაც დიდ სარგებლობას მოუტანდენ მათ საქმეს. 1892 წელს პარლამენტს განზრახული ჰქონდა საარჩევნო რეფორმა მოეხდინა, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ქალებს თავიანთი უფლება ბარათებით გამოეხატათ. ამ განზრახვას წინ აღუდგენ რადიკალები, რომელნიც ამტკიცებდენ, რომ მაგისთანა სისტემა ფარულ კენჭის ყრის პრინციპს არღვევსო და მხარი არ მისცეს კანონპროექტის შეკვეცას და დამახინჯებას. 1903 წელს ზედა პალატამ კანონ-პროექტი კანონად აქცია და დედაკაცის ისტორიაში ახალი ხანა შეიტანა.

ავსტრალიელ ქალს თავის უფლებებისთვის არ უბრძოლია, არც ერთ კრებაზე და არც ერთ მიტინგზე სერიოზულად ამ

საკითხზე ლაპარაკი არ ყოფილა; მთელ ავსტრალიაში არ ყოფილა არც ერთი ისეთი საზოგადოება, რომელსაც მიზნად ქალებისთვის საარჩევნო უფლების მოპოება ჰქონოდა; ქალებს საზოგადოებისთვის არ მიუმართავთ და პროტესტი არ განუცხადებიათ, მაგრამ ერთ მშვენიერ დილას საარჩევნო უფლების ვაშლი კი ჩაუვარდათ კალთაში. ავსტრალიის დედაკაცს პოლიტიკის არა ესმოდა რა, არჩევნებს გულგრილად უცქეროდა და პარტიულ და პოლიტიკურ ბრძოლაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. არც დედაკაცი იცნობდა ავსტრალიის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას და არც ეს ცხოვრება იცნობდა დედაკაცს. ეს რეფორმა ახალი ხილი იყო მოუმზადებელ ქალთა სამეფოსთვის, რომელიც პირველ ხანებში დაიბნა და არ იცოდა, როგორ მოეხმარა ნაჩუქარი უფლება. მღვდლები ირწმუნებოდენ, რომ ახალი რეფორმა დედაკაცის დახმარებით დაამკვიდრებს ქვეყანასა ზედა სამართალსა და ჭეშმარიტებასო, ჟურნალისტები ამტკიცებდენ, რომ დედაკაცები ავსტრალიაში დედაკაცურ წყობილებას დაამყარებენო, ხოლო პირტიები თავიანთკენ ეწვეოდენ ქალებს და დედამიწაზე სამოთხის დამკვიდრებას ჰპირდებოდენ.

ახალ კანონის ძალით ყველა 21 წლის ქალს საარჩევნო უფლება ეძლეოდა. 1893 წელს მთელ ახალ ზელანდიაში ითვლებოდა 700,000 მცხოვრები. აქედან 140,000 სრულწლოვანი ქალი იყო, 180,000 სრულწლოვანი მამაკაცი. დანარჩენებს, მცირეწლოვანობის გამო, საარჩევნო უფლება არ ჰქონდათ. „ნეტა რას იზამს ავსტრალიელი დედაკაცი და როგორ მოიხმარს თავის უფლებას?“—კითხულობდა ყველა და წინდაწინვე ცდილობდა რეფორმის შედეგის გამოცნობას. კონსერვატორებს დიდი იმედი ჰქონდათ დედაკაცის ბუნებითვე თანდაყოლილ კონსერვატიზმისა; სოციალური რეფორმატორები მოუთმენლად ელოდენ არჩევნებს და დარწმუნებული იყვენ, რომ დედაკაცი მთელ რევოლუციას მოახდენდა ავსტრალიის სოციალურ ცხოვრებაში; კლერიკალებმაც ფრთები გაიმაგრეს და იმედი ჰქონდათ, რომ ქალი სახელმწიფო საერო განათლებას წინააღუდგებოდა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ქალი დიდ ცვლილებას მოახდენდა ავსტრალიის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ დანამდვილებით არავინ იცოდა, ვისკენ გადასწევდა დედაკაცი საარჩევნო სასწორს და ვის გაიხდიდა თავის მფარველად.

ახალ ზელანდიაში არჩევნები ერთ დღეს ხდება. იმ წელს არჩევნები 28 ნოემბერს უნდა მომზადარიყო. დილის 9 საათიდან საარჩევნო ყუთებს აუარებელი ქალი მიაწყდა. ის დღე უქმე დღედ ითვლებოდა და ყველა სადღესასწაულო ტანისამოსში იყო გამოწყობილი. თორმეტ საათიდან ორ საათამდის სადილმა პოლიტიკას სძღია, მაგრამ ორ საათის შემდეგ საღამომდის გამარჯვება ისევ პოლიტიკის მხარეზე იყო. საღამოს 7 საათამდის ახალ ზელანდიაში 90,000 ქალმა ჩააგდო კენჭი. ღამის 12 საათზე მთელმა ზელანდიამ გაიგო, რომ გამარჯვება დარჩათ იმ პროგრესისტებს, რომელთაც საარჩევნო უფლება მოუპოვეს ავსტრალიის დედაკაცს. 1896 და 1899 წლების არჩევნებიც პროგრესისტების გამარჯვებით გათავდა.

15 თვის განმავლობაში ქალთა საარჩევნო უფლება მხოლოდ ახალ ზელანდიის მონოპოლია იყო, მაგრამ 1894 წ. 18 დეკემბერს სამხრეთ ავსტრალიის პარლამენტმაც მიიღო ახალი საარჩევნო კანონი ამ მხრით დედაკაცი მამაკაცს გაუთანასწორა. 1885 ⁄ 1889 წლებში პარლამენტში კანონ-პროექტი შეიტანეს ქალთა საარჩევნო უფლების გაფართოვების შესახებ, მაგრამ კანონ-პროექტი უარყოფილ იქმნა. ამის შემდეგ აქ დაარსდა რამდენიმე საზოგადოება და ლიგა, რომელთაც აზრად ჰქონდათ დედაკაცისთვის საარჩევნო უფლება მოეპოვებიათ. 1893 წელს სამინისტრო გადავიდა უკიდურეს რადიკალის კინგსტონის ხელში, რომელიც მხნედ და ენერგიულად იცავდა ქალთა საარჩევნო უფლებას, რომელსაც აქ, ბრიტანიის ყველა კოლონიებთან შედარებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა: სამხრეთ ავსტრალიაში ზედა პალატის წევრებსაც ხალხი ირჩევდა და ცხადია, რომ ქალთა მონაწილეობას დიდი გავლენა ექნებოდა სამხრეთ ავსტრალიის ცხოვრებაში. 1893 წელს პალატამ დაამტკიცა ბილლი და ქალებსაც ნება მიეცა ორივე პალატის წევრთა არჩევნებში ისეთივე მონაწილეობა მიეღოთ, როგორსაც მამაკაცები იღებდენ. ამას პალატამ ისიც დაუმატა, რომ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა თვითონ ხალხს უნდა მიენდოს და რეფერენდუმით გამოირკვეს, უნდათ თუ არა ქალებს ეს უფლება, ან უნდათ თუ არა მამაკაცებს ქალებისთვის ამ უფლების მინიჭებაო. ამის გამო ქალთა უფლებების მოწინააღმდეგეთ ერთი ალიაქოთი ასტეხეს და ისე წაიყვანეს საქმე, რომ იმ წელს რეფერენდუმი არ მოხდა. 1894 წ. პარლამენტში ხელმეორედ შეიტანეს ბილლი. რადგან ეს რეფორმა კონსტიტუციის შეცვლას შეეხებოდა, ამიტომ იმის დასაკანონებლად საჭირო იყო ნახევარზე მეტი ხმა. ზედა პალატაში საჭირო იყო 13 ხმა, ქვედა პალატაში 28. ზედა პალატაში უმრავლესობა რადიკალების ხელში იყო, ამიტომ ბილლი იქ ადვილად მიიღეს, მაგრამ ქვედა პალატაში საქმე გაჭირდა. ბრძოლამ სამ თვეს გასტანა. კანონპროექტმა ვერ მოაგროვა უმეტესობა, რადგან ორივე პარტია თანასწორად გაიყო. საკმარისი იყო ერთ რომელიმე სხდომას ბილლის ერთი დამცველი არ დასწრებოდა, რომ საქმე ჩაშლილიყო. ერთი მოხუცი დეპუტატი, ბილლის მომხრე, ყოველ დღე 11 საათზე დასაძინებლად მიდიოდა. რეფორმის მოწინააღმდეგენი ამით სარგებლობდენ და კამათს აგრძელებდენ. ერთ საღამოს მოხუცი ჩვეულებრივად 11 საათზე ადგა და დარბაზიდან გავიდა. რეფორმის მოწინააღმდეგეთ გამარჯვების იმედი მიეცათ და საკითხს კენჭი უყარეს, მაგრამ მოსტყუვდენ. მთავრობის აგენტმა მოხუცი გასასვლელ კარებში შეაჩერა და მასთან განგებ ლაპარაკი გააბა. კენჭის ყრის დროს მოხუცი შებრუნდა დარბაზში და კენჭი ჩააგდო. ამ ერთმა კენჭმა გადასწყვიტა მთელ სამხრეთ ავსტრალიის ქალების უფლებათა ბედი. ბილლი დაკანონდა 18 დეკემბერს, მაგრამ საჭირო იყო მისი დამტკიცება ინგლისის დედოფალის მხრით. 1895 წელს 9 მარტს დედოფალმა ბილლი დამტკიცა.

იმავე წელს, 25 აპრილს, მოხდა არჩევნები, რომელშიაც 80,000 ქალმა მიიღო მონაწილეობა. წესიერება არსად არ დარღვეულა. იქაც იგივე განმეორდა, რაც ახალ ზელანდიაში მოხდა. რადიკალებმა გაიმარჯვეს, თუმცა წინანდელთან შედარებით, ცოტა არ იყოს, შესუსტდენ.

ამავე ხანებში საარჩევნო უფლება მოიპოვეს დასავლეთ ავსტრალიისა და სამხრეთ უელსის ქალებმაც. დარჩენ მხოლოდ ტასმანიისა, ვიქტორიისა და კვინსლენდის შტატები, სადაც ჯერ-ჯერობით ქალებს ვერ მიუღწევიათ თავიანთ მიზნისთვის. მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ შტატებში არც ქალები იბრძვიან შესაფერად თავიანთ უფლებებისთვის და არც მამაკაცები იწუხებენ თავს ამ უფლების მისაცემად.

იმ კოლონიებში, სადაც ქალებს საარჩევნო უფლება აქვთ მინიჭებული, დედაკაცებმა კარგად ისარგებლეს თავიანთ უფლებით. კონსერვატორების მოლოდინი,—არჩევნები და

პოლიტიკა დედაკაცს ოჯახს დააშორებსო, არ გამართლდა. სტატისტიკა ამტკიცებს, რომ უმეტეს შემთხვაში მთელი ოჯახი ერთ და იმავე კანდიდატს აძლევს კენჭს. დანაშვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქალებს, საარჩევნო უფლების მოპოებით, არავითარი ცვლილება არ მოუხდენიათ ავსტრალიის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქალებიც ისევ დაიყვენ პარტიებად, როგორც მამაკაცები, და პროპორციანალურად გააძლიერეს ყველა პარტიები, ხოლო უპირატესობა არც ერთ პარტიისათვის და არც ერთ კლასისათვის არ მიუცია. ქალის ბუნებით თანდაყოლილი კონსერვატიზმი იმაში გამოიხატა, რომ ავსტრალიელ ქალის დახმარებით ავსტრალიის პოლიტიკურ ცხოვრების სადავე დღესაც იმ რადიკალებს უჭირავთ ხელში, რომელთაც საარჩევნო უფლება მიანიჭეს ქალებს. მართალია, ქალებს ხელი არ შეუწყვიათ რადიკალებისათვის პროგრესიულ რეფორმების მოხდენაში, მაგრამ არც წინააღმდეგობა გაუწევიათ. სამხრეთი და დასავლეთ ავსტრალია რამდენიმე წლის განმავლობაში გატაცებული იყო ფედერალიზმით. ქალები არც ამ გატაცებაში ჩამოუვარდენ მამაკაცებს და ავსტრალიის ფედერატიულად მოწყობის საქმეში დიდი მონაწილეობა მიიღეს. საზოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ ქალების მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ქალთა საკითხის კარგ მცოდნეს ჯონ გოლს შეეკითხენ წერილით, რა გავლენა იქონია რეფორმამ ავსტრალიის საქმეებშიო. გოლმა ერთი სიტყვით უპასუხა: „არავითარიო.“ მ.

ᲩᲐᲠᲢᲘᲡᲢᲗᲐ ᲫᲚᲘᲠᲐᲜᲑᲐ

(ᲞᲝᲠᲙᲭᲘᲐᲜᲘᲡ თხზულებიდან)

(დასასრული, იხ. „ივ.“ №9)

დამარცხებული ბურჟუაზია ისევ ოპოზიციის გზას დაადგა. ამავე დროს გაძლიერდა აგიტაცია შემოტანილ პურზე დაწესებულ ბაჟის გაუქმების შესახებ და ბურჟუაზიამაც არ აგიტაციით შესაფერად ისარგებლა. მისთვის იაფი პური იაფ ხელფასს ნიშნავდა, რადგან გაიაფებულ ცხოვრების გამო მუშა იაფად გაჰყიდის თავის შრომასა. ბურჟუაზიამ ხელში ჩაიგდო მანჩესტერში დაარსებული „პურზე დაწესებულ ბაჟის საწინააღმდეგო ლიგა“ და საოცარის ენერგიითა და მხნეობით შეუდგა აგიტაციას. საერთო ინტერესებმა, საერთო მიზანმა ხელმეორედ შეაკავშირა და დააახლოვა ბურჟუაზია და პროლეტარიატი.

გაჭირვება თანდათან მატულობდა. ქალაქ სტოკპორტში (40 ათასი მცხოვრებ-) 3000 სახლი ცარიელი იყო, ხიტონ ნორისში სადგომთა მეოთხედი დაცარიელდა და 1000 ოჯახი სხვის დახმარებით ცხოვრობდა. ოთხი წლის განმავლობაში ღარიბთა სასარგებლოდ გაწერილმა გადასახადმა 2628 გირვანქა სტერლინგიდან (1 სტერ. უდრის თითქმის 10 მან.) 7120 გირ. სტერლინგამდე აიწია, რაიც იმას ნიშნავს, რომ ღარიბთა რიცხვმა ერთი სამად იმატა. ლიდსში მცხოვრებთა მეხუთედი საზოგადოების ხარჯით იკვებებოდა. დემფში დამშეულმა ხალხმა ფურნეები დაამტვრია და პური დაიტაცა. ირლანდიაში უარესი ხდებოდა. გახშირდა ძარცვა-გლეჯა, მკვლელობა და ტაცობა.

1842 წელს ჩარტისტებმა ხელმეორედ გადასცეს პარლამენტს პეტიცია, რომელზედაც 3 მილიონ კაცს ჰქონდა ხელი მოწერილი, მაგრამ — უნაყოფოდ. პარლამენტმა, რომელშიაც ტორიები, ე. ი. მსხვილ მემამულეთა წარმომადგენელნი შეადგენდენ უმრავლესობას, ჩარტისტებს უარი უთხრა. მაშინ ამ დადაკარგულმა მუშა ხალხმა ხელი გაუწოდა სამრეწველო ბურჟუაზიას მემამულეთა პარლამენტის გასაუქმებლად. აგვისტოში დაიწყო საერთო გაფიცვა. გაფიცულებმა, პურზე ბაჟის გაუქმებასთან ერთად მოითხოვეს სამუშაო ქირის მომატებაც. პურზე ბაჟის მოპობა ბურჟუაზიასაც უნდოდა, მაგრამ ხელფასის მომატების მოთხოვნამ იგი შეაშინა, — იგი უკან დაიწია, უცებ გამოიცვალა კილო და მთავრობას მიემხრო ვითომ და რევოლუციის ჩასაქრობად. მუშები დამარცხდენ. ამ დამარცხებამ თვალი აუხილა ჩარტისტებს, რომელნიც ორ ბანაკად გაიყვენ. ბურჟუაზიული დემოკრატია ცალკე გავიდა, საკუთარი პარტია დააარსა და მხოლოდ ბაჟების გაუქმებას თხოულობდა, ჩარტისტები კი ისევ მაგრა იდგენ თავიანთ პოზიციაზე და ხარტიის გარდა არაფერს თხოულობდენ. მას შემდეგ, რაც პარტია გაიწმინდა ბურჟუაზიულ ელემენტებისგან, მისი ძალაც შემცირდა და შესუსტდა, მაგრამ ბრძოლა კი მაინც არ შეწყვეტილა. 1847 წელს ინგლისში დაიწყო საბრეწველო კრიზისი, რასაც თან მოჰყვა უსაქმოდ დარჩენილთა არმიის გაზდა, ცხარე აგიტაცია და ძლიერი მოძრაობა. 1847 წელს მოჰყვა განთქმული 1848 წელი და საფრანგეთის რევოლუცია, რომელმაც ორნაირი გავლენა იქონია მუშა ხალხზე: ერთი ნაწილი შეშინდა და მარჯვნივ გაიწია, ხოლო მეორემ უფრო მარცხნივ მიიწია და საფრანგეთის რევოლუციაზე უთითებდა ინგლისის მუშა ხალხს. თებერვლის რევოლუციის ქარიშხალს ინგლისის მუშებმა არაჩვეულებრივ დემონსტრაციით გასცეს პასუხი. ბურჟუაზია დაფრთხა და დემონსტრანტებს 200,000 პოლიციელი დაახვედრა ქუჩებში. გაბრაზებული მუშები წინ მიიწევდენ და დარწმუნებული იყვენ, რომ დადგა ის დრო, როცა ბურჟუაზია შესაფერად უნდა დასჯილიყო ღალატისთვის. რევოლუციონური მოძრაობა გაძლიერდა, ინგლისის მუშა ხალხს მიემხრო ირლანდია. დაიწყო შეიარაღებულ აჯანყებისთვის მზადება, იარაღის შეძენა და მის მოხმარების სწავლა. 4 აპრილს ლონდონში შეიკრიბა ჩარტისტთა კონვენტი, რომელმაც დაადგინა მოლაპარაკება გამართოს საფრანგეთის დროებით მთავრობასთან და ერთხელ კიდევ მოაგონოს ინგლისის პარლამენტს მუშების მოთხოვნილებანი. სამინისტრო დაფაცურდა და დაიწყო მზადება. 6 მარტს გლაზგოსა, ედინბურგსა, ლივერპულსა და ლონდონში დაიწყო არეულება. 10 აპრილისთვის მთავრობამ დაამზადა 250,000 პოლიციელი, 2000 შეიარაღებული მოხელე, ლონდონში შეაგროვა 12,000 სალდათი, გაამაგრა ხიდები, გარეთ გამოიტანა ზარბაზნები და ბრძოლის დასაწყებად მხოლოდ მიზეზს უცდიდა. 10 აპრილს დილით ლონდონში ყველა ქარხნები და მაღაზიები დაიკეტა. მთავრობის ჯარის მთავარ-სარდლობა იკისრა ვატერლოოს გმირმა ჰერცოგმა ველინგტონმა. მუშები შეიკრიბენ დანიშნულ ადგილზე, მაგრამ ბელადები მოსტყუვდენ. ისინი ელოდენ რამდენიმე ასი ათას მუშას, ნამდვილად კი ქუჩაში გამოსვლა გაბედა მხოლოდ რამდენიმე ათასმა კაცმა. მთავრობამ შეატყობინა მუშებს, რომ შეკრების უფლება გეძლევათ, მაკრამ დემონსტრაციის ნებას არ მოგცემთო. წინა დღეს კონვენტი ორ ბანაკად გაიყო. ზოგი ამბობდა, თუ გამარჯვება გვინდა, ხვალ იარაღით უნდა გამოვიდეთ ქუჩაშიო, ზოგი კი შეიარაღებულ აჯანყებას უარჰყოფდა და მხოლოდ დემონსტრაციის მოხდენას თხოულობდა. ამ უთანხმოების გამო ორივე გეგმა ჩაშალა. მუშები დაიშალნენ, ხოლო პეტიცია რამდენიმე კაცმა გადასცა პარლამენტს, რომელმაც ახლაც უარი უთხრა მუშებს.

ორი დღის შემდეგ პარლამენტმა გამოსცა ახალი კანონი, რომლის ძალით ყოველი რესპუბლიკის მომხრე სასტიკად ისჯებოდა. მთავრობა რეპრესიების გზას დაადგა. ლონდონის მუშები დამარცხდენ, მაგრამ ლანკაშარისა და იორკშირის ოლქების მუშები არ ტყდებოდენ და წინანდებურად შეიარაღებულ აჯანყებისთვით ემზადებოდენ. აქა იქ დააარსეს მტრედების ფოსტა, კლუბები იარაღის შესაძენად და სხ., მაგრამ რევოლუციონურ მოძრაობას მალე გამოეცალა მთავარი ნიადაგი: კრიზისი გათავდა, სამუშაომ იმატა და ხელფასმაც აიწია. ივნისში მთავრობამ დააპატიმრა ჩარტისტების 8 საუკეთესო ორატორი, რამაც მუშათა შორის აღელვება დ უკმაყოფილება გამოიწვია. ჩარტისტებმა გადასწყვიტეს პროტესტის გამოცხადება დ ყველა ქალაქებში მოიწვიეს კრებები, მაგრამ მთავრობა ამ გადაწყვეტილებას წინ აღუდგა და უფრო უარესად გააბრაზა ისედაც გაბრაზებული მუშები. ისე დღე არ გავიდოდა, რომ მუშებსა და პოლიციის შორის შეტაკება არ მომხდარიყო. სასამართლომ ზემოხსენებულ 8 ბელადს ორი წლით დაპატიმრება გადაუწყვიტა. იმავე ხანებში დააპატიმრეს და საპყრობილეში ჩასხეს 300 მუშა დემონსტრაციებში მონაწილეობის მიღებისათვის.

რევოლუციონურმა მოძრაობამ იკლო. სწორედ იმ დროს, როცა საჭირო იყო ენერგიული მოქმედება, გაბედული იერიშები და თავგანწირული ბრძოლა, პარტიის ბელადებმა უკან დაიხიეს. მთავრობამ სავსებით გაიმარჯვა.—როგორც მოსალოდნელი იყო, ჩარტისტების პარტია ფრაქციებად დაიყო და დაიქსაქსა. ამ გარემოებას ბევრნი აბრალებდენ პარტიის დაქუცმაცებას, ბელადების დაპატიმრებას, რევოლუციის დამარცხებას და სხ., მაგრამ უმთავრესი მიზეზები მაინც სხვაგან უნდა ვეძიოთ. მუშათა მოძრაობა არის პირდაპირი შედეგი იმ ქვეყნის ეკონომიურ განვითარების, სადაც ეს მოძრაობა არსებობს. ჩარტისტების მძლავრი მოძრაობა აღმოცენებული იყო იმ დროის ინგლისის ეკონომიურ მდგომარეობიდან, მაშასადამე ამ მოძრაობის შესუსტების და მოსპობის მიზეზებიც ამავე ეკონომიურ მდგომარეობის შეცვლას უნდა მივაწეროთ.

1846 წლის დასაწყისში კრიზისმა იკლო. ორიოდე წლის შემდეგ გააუქმეს პურის ბაჟი. სამიოდე წლის განმავლობაში ინგლისის მრეწველობა საოცრად გაიზარდა. ამავე ხანებში აღმოაჩინეს ოქროს მადნები კალიფორნიასა და ავსტრალიაში, რამაც დიდი გავლენა იქონია ინგლისის სამანუფაქტურო მრეწველობის განვითარებაზე. ინგლისში შემოვიდა აუარებელი ოქრო, რომელმაც ახალი სული ჩაბერა აღებ-მიცემობას. ამას მოჰყვა აუარებელ ახალ ფაბრიკების გახსნა, სამუშაოქირის მომატება და სოციალისტურ მოძღვრების შესუსტება. გარდა ამისა ოქროს მადნებმა ინგლისიდან ბევრი ხალხი მიიზიდა. მთავრობამ ხელი შეუწყო ემიგრაციას და გამოაცხადა, ვისაც ავსტრალიაში გადასახლება უნდა, გზის ხარჯი არ დასჭირდება, მუქთად გავგზავნითო. დამარცხებული ჩარტისტები ეცნენ ამ საშუალებას, გადასახლდენ ოკეანეს მეორე ნაპირზე და იქ აპირობდენ იმ ბედნიერებისა და ჭეშმარიტების მოპოვებას, რომელსაც უნაყოფოდ ეძებდნენ თავიანთ სამშობლოში. ორმა ფაქტორმა — ოქროს აღმოჩენამ და უფასო მგზავრობამ აუარებელი ძალა ჩამოაშორა ინგლისის პროლეტარიატს. ჩარტიზმი მოისპო. მას შემდეგ, რაც მიიმალა ჩარტისტების რევოლიუცონური დრომა, ბურჟუაზიაც დამშვიდდა და თანდათან განახორციელა და დააკანონა ჩარტისტების ზოგიერთი მოთხოვნილებანი. ჩარტისტულ მოძრაობის ნანგრევებზე აღმოცენდა ინგლისის თანამედროვე პროფესიონალური კავშირები და ტრედ-უნიონიზმი.

ა.

რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი
გამომცემელი თ^დი პავლე ი. თუმანიშვილი.

ტფილისის საკრებულოს საზაფხულო სადგომი.
კვირას 7 მაისს 1906 წელს,
უფასო და იაფ ფასიანი სასადილოების სასარგებლოდ გაიმართება
სეირნობა და ლატარია ალეგრი
—ბავშვების თამაშობა დღისით 4 საათიდან. მოზრდილ ყმაწვილებისთვის ცეკვა საღამოს 6 საათიდან, ბ. ინოჩენცის ხელმძღვანელობით.
შესვლის ფასი: მოზრდილთათვის 25 კაპ. ბავშვებისთვის (10 წლამდის) 10 კაპ. სალატარიო ბილეთის ფასი 20 კაპ. სეირნობა დაიწყება დღისით 3 საათზე. ავდარი თუ იქმნა, სეირნობა გადიდება ორშაბათისთვის, 8 მაისს.

მოითხოვეთ ნამდვილი
„ოდოზრინი“ მ. ვ. ლეჟედევისა
ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად, მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22473.
იყიდება ტფილისში—საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (წლ.)

რკინის გზით მგზავრ ქართველ მკითხველთა საყურადღებოდ.
დაიბეჭდა და ისყიდება სადგურ მიხაილოვის ბილეთის კასაში საინტერესო ახალი თანამედროვე რომანი ორ ნაწილად.
ცხოვრება და სიყვარული
წიგნი დიდი ზომისა დაწერილია დღევანდელ კითხვებზე, ცოლ-ქმრის კავშირზე და სქესობრივ დამოკიდებულებაზე. დაბეჭდილია სუფთად, მშვენიერის კანით, მაგრა შეკერილი, შეიცავს 350 გვერდს და ღირს მხოლოდ ორი აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „Цодна“. Ст. Михайлово, первому билетному кассиру Чархишвили. (10 - 1)

საყმაწვილო ჟურნალი
ნაკადული
სურათებით
წელიწადი მეორე.
ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, წ.-კ.გ. საზოგადოების კანცელარიაში და მ:რიამ დემურიას ბინაზე, ალექსნდრეს ქუჩა, № 5. რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, № 8.

ელექტრო-მსტამბავი წიგ. გამომც. ქართ. ამხ—ისა. ვანქის დიდი ქუჩა.—ტელეფონი № 372.